სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 20 ივლისი 2000 №137 (1159) | ფასი 50 თეთრი

ყიფიანს მოგებაც ახლოვს და წაგებაც

მუსლინი კი პირდაპირ ამბობს: ცრვენა ზვეზდას ტორპედოს დამარცხება შეუძლია

დრაგუტილ კოსტიჩი ბელგრადიდან
სპეციალურად „სარბიელისთვის“

„ცრვენა ზვეზდა“ — „კლაკსვიკარის“ წყვილში გამარჯვებული იუგოსლავიელები რომ დარჩებოდნენ, ვფიქრობ, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მით უმეტეს, ფარერებზე ნათამაშევის შემდეგ. ბელგრადის „მარაკანაზე“ გამართული საპასუხო მატჩი ფორმალობა იყო. ამიტომაც თამაშით არც „ცრვენა ზვეზდას“ მოუკლავს თავი. მაყურებელიც უჩვეულოდ ცოტა მოვიდა სტადიონზე, დაახლოებით 9-10 ათასი.

სტუმრებმა 90 წუთის განმავლობაში „ვარსკვლავთა“ მეკარე კოციჩს სულ ორად-ორჯერ დაურტყეს, ისიც იმდენად სუსტად, ბავშვიც რომ აიღებდა. „ცრვენა ზვეზდა“ კი... ბელგრადელთა შექმნილი ყველა მომენტი აღვნერო? არა მგონია, ამის საჭიროება იყოს, ისედაც ხომ ყველაფერი ნათელია — თამაში ცალ კარში მიმდინარეობდა, თუმცა მასპინძლებმა „კლაკსვიკარი“ აშკარად დაინდეს და ორად-ორი გოლი აკმარეს, თანაც სტუმრებს მატჩის დასაწყისშივე მოუთავეს ხელი. ჯერ ბრანკო ბოშკოვიჩმა შეაგდო მე-10 წუთზე პენალტით, ექვსი წუთის შემდეგ კი გორან დრულიჩმა ლამის ნახევარი „კლაკსვიკარი“ გააპამპულა და მშვიდად შეაგორა ბურთი კარში. მერე, როგორც ვთქვი, „ცრვენა ზვეზდას“ თავი ნამეტანი არ გამოუდია, საკმარისი გამოდგა ძალის მინიმუმიც კი იმისათვის, რომ მეტოქედ ქართული „ტორპედო“ ერგუნა.

სხვათა შორის, ამ მატჩს „ტორპედოს“ მწვრთნელი დავით ყიფიანიც ესწრებოდა და ვერ ვიტყვი, რომ ნანახით კმაყოფილი დარჩა. ეს ნამატჩევს თავადვე მითხრა: — ბევრიც ვერაფერი ჩავინიშნე. „ცრვენა ზვეზდამ“ ჩვენთან შეხვედრამდე კარგად ივარჯიშა. ძნელია, ვინმე გამოვყო, მაგრამ, მაინც, სხვებზე მეტად მეგოლეები — ბოშკოვიჩი და დრულიჩი დამამახსოვრდნენ. დარწმუნებული ვარ, „ტორპედოს“ ძნელი, ძალიან ძნელი მატჩები ელის. თუმცა ჩვენ არაფრის დათმობას ვაპირებთ, ვიბრძოლებთ. ქართველებს იუგოსლავიელები ადრე დაგვიმარცხებია. ისე, „ცრვენა ზვეზდამ“ რომ ფოთის „კოლხეთი“ დაამარცხა, ესეც კარგად მახსოვს და მგონი, იუგოსლავიელების შემადგენლობა მაშინდელისგან არც მთლად განსხვავებულია.

მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე კი „ცრვენა ზვეზდას“ მწვრთნელმა სლავოლიუბ მუსლინმა თქვა:

— იოლად გავიმარჯვეთ. გახარებულები ვართ და ხვალიდანვე შევუდგებით ახალ მეტოქესთან სათამაშოდ მზადებას. „ტორპედო“, უეჭველია, ამ გუნდზე გაცილებით ძლიერი იქნება. ქართველების თამაშზე ცოტა რამ ვიცი. მათი დამარცხება შეგვიძლია. თანაც 26 ივლისს ჩვენი კაპიტანი გორან ბუნიევჩევიჩი ითამაშებს, მას ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დასვენების საშუალება მივეცით.

REUTERS ბელგრადიდან

ცრვენა ზვეზდა — კლაკსვიკარი 2:0. ბელგრადელთაგან მეორე გოლის გამტანი გორან დრულიჩი და ოლვე ნილსტედი (№19)

ჩემპიონთა ლიგა. პირველი შესარჩევი ეტაპი
საპასუხო მატჩები. 19 ივლისი

CHAMPIONS LEAGUE

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 2:0 **კლაკსვიკარი (ფარერები)** (3:0)
1:0 ბოშკოვიჩი (10პ), 2:0 დრულიჩი (16)
ცრვენა ზვეზდა: კოციჩი, მარკოვიჩი, ვიტაკიჩი, ლალატოვიჩი, ვაიცეტიჩი, ლერინცი, ილიჩი (გეორგიოვსკი 66), გვოზდენოვიჩი, დრულიჩი, სტევანოვიჩი (მირკოვიჩი 72), ბოშკოვიჩი (მარკოსკი 72)

შამქირი (აზერბაიჯანი) 4:1დ.დ. (2:1) **სპონტო (ლატვია)** (1:2)
1:0 ქვარაცხელია (2), 1:1 სამუსევასი (30), 2:1, 3:1 ქვარაცხელია (90, 100), 4:1 კულიკოვი (110),

ზიმბრუ (მოლდოვა) 3:2 **ტირანა (ალბანეთი)** (3:2)
1:0 ოპრია (7), 1:1 რეზარტი (10), 1:2 კენესეი (23), 2:2 ოპრია (31), 3:2 ბორეცი (75)

ბატე (ბელარუსი) 2:1 **შირაქი (სომხეთი)** (1:1)
1:0 როგოჟკინი (17), 2:0 ლოშენკოვი (58), 2:1 ტაკმაზიანი (73)

ლევადია (ესტონეთი) 4:0 **ლანსანტფრაიდი (უელსი)** (2:2)
1:0 კრომი (45), 2:0 ფენინი (58), 3:0 ცელნოკოვი (60), 4:0 ედუარდსი (65სკ.)

ბროტნიო (ბოსნია) 3:0 *ჟალგირისი (ლიტვა)* (0:4)
1:0 კატიჩი (32), 2:0 იურიჩიჩი (39), 3:0 კატიჩი (41პ)

ლევსკი (ბულგარეთი) 2:0 **დუდელანჟი (ლუქსემბურგი)** (4:0)
1:0 ივანოვი (35), 2:0 ივანკოვი (53პ)

ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 2:1 *ჰაკა (ფინეთი)* (0:1)
1:0, 2:0 ფერგიუსონი (21პ, 74), 2:1 კოვაჩი (88პ)

ფელბურნი (ირლანდია) 1:1 **სლოგა (მაკედონია)** (1:0)
1:0 ჰეილოკი (67), 1:1 ნუიჯი (81პ)

რეიკიავიკი (ისლანდია) 4:1 **ბირკირკარა (მალტა)** (2:1)
1:0 უინიე (11), 2:0 ბენედიქტსონი (45), 2:1 სპიტერი (56), 3:1 სიგურდსონი (60), 4:1 მარტეისონი (66)

ბადრი კვარაცხელია აზერბაიჯანელებს ისტორიას უნერს

ანარ ისმაილოვლის ფოტო

2000 წლის 4 ივნისი. ბაქო. აზერბაიჯანი — საქართველო 0:0. აზერბაიჯანის ნაკრების დებიუტანტი ბადრი კვარაცხელია (№11) თანამემამულეებს უგოლოდ დასცილდა, სამაგიეროდ, ლევან სილაგაძის (№2) ყოფილ თანაკლუბელებს სამი ბურთი გაუტანა

გუშინ, ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში აზერბაიჯანის „შამქირმა“ რიგის „სკონტოს“ დამატებით დროში 4:1 მოუგო და მომდევნო ეტაპზე გააღწია. მატჩის გმირი კი ქართველი, აზერბაიჯანის ნაკრებისა და „შამქირის“ თავდამსხმელი ბადრი კვარაცხელია იყო.

ბადრიმ ლატვიელებს სამი გოლი გაუტანა. მისმა ჰეთ თრიკმა აზერბაიჯანელებს პირველად დააძლევინა ევროგათამაშების პირველი ეტაპი.

კვარაცხელიამ თამაში წალენჯიხის „სქურში“ დაიწყო, საიდანაც რვავაზ ძოძუაშვილმა „დინამოში“ გადმოიყვანა. მერე იყო თელავის „კახეთი“, რუსთავის „მეტალურგი“, პოლიციელთა „აკადემია“ და თბილისური „მერანი“.

გუშინდელ თამაში ათიოდ წუთის დამთავრებული იქნებოდა, ბადრის გასახდელშივე რომ დავუკავშირდით...

— ასეთი ჯერ არ მომხდარა: აზერბაიჯანულმა გუნდმა ევროთასებზე პირველი ეტაპი გაიარა. გახარებული ხალხი სტადიონიდან არ მიდის, განუწყვეტელი შეძახილებია.

— ორი სიტყვით თამაშზე...

— გოლი პირველივე წუთებზე გავიტანეთ. ბურთი ბრძოლაში წავართვი რიგელთა ნახევარმცველს და თანაგუნდელს გადავაწოდე. მან ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა. საჰაერო დუელი კულიკოვმა მოიგო და ბურთი თავით დამიგდო. მახვილი კუთხით, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დავრჩი. ოდნავ წავიწიე და დავარტყი. მეკარემ რეაგირება ვერ მოასწრო.

რიგელებმა 20 წუთში გაქვითეს. კუთხურისას მცველები შეცდნენ. თითქოს ყველაფერი დამთავრდა. მსაჯის მიერ დამატებული დროც იწურებოდა, როცა პირველის მსგავსი შანსი მომეცა და პირისპირ გასულმა მეკარეს ისევ ვაჯობე.

დამატებით დროში „სკონტომ“, ჩვენდა გასაკვირად, უკანმიუხედავად შემოგვიტია. ორჯერ დავიჭირეთ კონტრშეტევაზე. ერთხელ მე დავსაჯე რიგელები, ერთხელაც კულიკოვმა. გატანა კიდევ შეგვეძლო, მაგრამ ჩემი პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა თანაგუნდელმა ბურთი კარს ააცილა.

— „სკონტოში“ ჩვენებურთაგან ვინ ითამაშა?

— ალექსანდრე რეხვიაშვილმა სრულად ითამაშა და კარგადაც, მეორე ტაიმში კი ლევან კორღალიძეც შემოიყვანეს.

— ახლა რას აპირებენ შამქირელები?

— ხელმძღვანელობამ, ორი დღით დაისვენეთო. თბილისში ჩამოვალ, მერე დავბრუნდები და მზადებასაც დავიწყებთ. მომდევნო მეტოქე, ჩეხური „სლავია“ ხომ გაცილებით ძლიერი გუნდია.

— აზერბაიჯანის ნაკრებში როგორ მიგდის საქმეები?

— ნაკრები ახლა ბულგარეთშია შეკრებაზე. ხვალ მეც უნდა გავმგზავრებულიყავი. ბილეთიც შეკვეთილი მქონდა. არავის სჯეროდა, რიგელებს თუ ვძლევდით, მაგრამ ეს მოვახერხეთ.

ახლა ვინ გამიშვებს... მომდევნო თამაში ხომ 26-ში გვაქვს. ასე რომ, ბილეთის დაბრუნება მომიწევს.

მამუკა ძვანტალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახოკიძე პსვ-ში: ჩავიდა და წავა



ბადრი ჯიმლეიძის ფოტო

გოგა გახოკიძე პსვ-ს უფროსების პასუხს ელის

გოგა გახოკიძე, რომელიც ჰოლანდიის პსვ-ს ერთი წლით ისრაელში, ჰაიფას „მაკაბიში“ ჰყავდა განათხოვრებული, კარიერას ალბათ ახალ კლუბში გააგრძელებს.

ქართველი ნახევარმცველი ჰოლანდიიდან რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა და მალე უკანვე მიემგზავრება. გახოკიძე პსვ-ს პრეზიდენტსა და მწვრთნელს შეხვდა, მათ დაიბარეს კიდეც გოგა მომავალი კვირისთვის, ორშაბათს გეტყვით, რომელ გუნდში ითამაშებო.

— ჯერ არაფერი ვიცი. ჰოლანდიელებმა მითხრეს, რამდენიმე აქაური და უცხოური კლუბია შენით დაინტერესებულიო, მაგრამ კონკრეტული საუბრისგან თავი შეიკავეს. ვნახოთ, იქით კვირას მეცოდინება, სად გამიშვებენ. არც ისაა გამორიცხული, პსვ-ში დავრჩე, თუმც ამის ნაკლები შანსია. ჰოლანდიელები გამანათხოვრებენ თუ გამყიდიან, ეს უკვე დაინტერესებულ კლუბზეა დამოკიდებული, გააჩნია, პსვ-ს რამდენს შესთავაზებენ — გვითხრა გოგა გახოკიძემ და ისიც დაამატა, „მაკაბიში“ ალბათ აღარ დავბრუნდებიო.

ძოგა ინასარიძე

ვიტ ჯორჯიამ ბუნდესლიგელსაც გაუძლო

გერმანულ შეკრებაზე მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ“ მეორე საკონტროლო შეხვედრა გამართა. ამჯერად მეტოქედ ბუნდესლიგელი „კოტბუსი“ ჰყავდა.

„ვიტ ჯორჯიას“ გერმანულ ტურნეს კლუბის პარტნიორებმა სოლიდური სარეკლამო კამპანია წაუმძღვარეს და დაბა ფინსტერვალდში თბილისელთა და კოტბუსელთა დაპირისპირებას 10 ათასამდე მაყურებელიც დესწრო.

თავიდანვე ვიტყვით, თამაში ფრედ 1:1 დამთავრდა. „ვიტ ჯორჯია“ დაწინაურდა. გოლი შორეული დარტყმით ჯაბა მუჯირმა გაიტანა. „კოტბუსმა“ წონასწორობა პირველი ტაიმის ბოლოს, საჯარიმო დარტყმით აღადგინა.

ვიტელებს დაწინაურება მეორე ტაიმშიც შეეძლოთ, მაგრამ ორჯერ ქორიძემ, თითოჯერ კი ნოზაძემ და მელქაძემ ხელსაყრელი მომენტები გააცუდეს.

„ვიტ ჯორჯიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

მერლანი; სალაია, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, დეკანოსიძე, გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე, სულთანიშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: *ვ. გოჩაშვილი* და *ზ. გვაზავა.*

„ვიტ ჯორჯია“ მომდევნო მატჩს დღეს, ობერლიგის ბერლინურ „უნიონთან“ გამართავს, რომელმაც თავის ზონაში პირველი ადგილი კი დაიკავა, მაგრამ მეორე ბუნდესლიგაში გადასასვლელი მატჩი პენალტების სერიით წააგო.

დათო დანელია

დევაძე თბილისში ტრავმით დაბრუნდა

ქართველი მეკარე უკრაინელ მეტალურგებს ვერ შეუთანხმდა

„საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა მეკარემ აკაკი დევაძემ ამ დღეებში უკრაინას მიაშურა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მომავალ სეზონს ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ გაატარებს“ — ვწერდით 11 ივლისის „სარბიელში“.

უკრაინის ჩემპიონატი 12 ივლისს დაიწყო. ჩვენც ზაპოროჟიელთა კარში დევაძის გამოჩენას ველოდით, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა. გუშინწინ 28 წლის ქართველი მეკარე თბილისში დაბრუნდა. მისი „მეტალურგში“ ტრანსფერი ჩაიშალა.

დევაძე ბოლო ხანს თბილისში იყო და „მერანთან“ ერთად ვარჯიშობდა. იგი გუნდს დაგეგმილ შეკრებაზეც უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ მოულოდნელად უკრაინაში წასვლა მოუხდა. ივლისის პირველ ნახევარში მას იქიდან თავისი მენეჯერი ვოვა ჩერქეზოვი შეეხმიანა. სასწრაფოდ ჩამოდიო, უთხრა, კაკოც უმალ ზაპოროჟიეში გაეშურა.

იქ დევაძემ ცოტა ხანს „მეტალურგთან“ ერთად ივარჯიშა. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, ჩერქეზოვმაც შემოთვალა, თითქმის ყველა დეტალი მოგვარებულია, დევაძე ფაქტობრივად მეტალურგელიაო, მაგრამ...

სწორედ რომ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ქართველი ფეხბურთელი დაშავდა, ხელი იტკინა და ახლა მკურნალობა მოუწევს, თუმცა ტრანსფერის ჩაშლის მიზეზი ეს არ უნდა იყოს.

ზუსტად მეც არ ვიცი, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, ფეხბურთელი და უკრაინული კლუბი რაღაც საკითხებზე ვერ შეთანხმდნენო, გვითხრა გუშინ „მერანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ანზორ მამალაძემ.

დევაძე ახლა თბილისში იმკურნალებს, მერე კი, ალბათ, ისევ „მერანში“ განაგრძობს მზადებას, თუმც მამალაძისვე თქმით, გამორიცხული არაა, ერთ დროს საქართველოს ნაკრების პირველმა ნომერმა კვლავ უცხოეთს მიაშუროს.

ვანო ოქროპირიძე

ბადრი ჯიმლეიძის ფოტო

ალეკო დევაძე

საზაფხულო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (ალაზანი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტი)	გუჩუა, სიჭინავა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), გ. გოგოლაძე (სამგურალი)	09.07-დან ბულგარეთში ემზადება. 26.07 კლაკსვიკარის (ფარერები) და ცრვენას (იუგოსლავია) მოგებულს სტუმრობს. *დილა 4:0, სპარტაკი (ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბულგარეთი) 0:2,*
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ), ე. ალადაშვილი (არსენალი), ჭილლაძე (ს.ა. იბერია)	13.07-დან გერმანიაში ემზადება *თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოჰენპამელნი (გერმანია) 4:0*
	დინამო *რევაზ არველაძე*	*ხიზანეშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თა, ისრაელ), პ. ჯინჭარაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (?), გ. შენგელია (ლოკომოტივი)*	კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი)	*შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1* 12.07-დან თბილისში ემზადება
	ბათუმი *ჯანი კარნეკვალი*	*მ. მახარაძე (კარიერა დასასრული), ხომერიკი, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია),* ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე (შუქურა), გელა ქორიძე (მერანი), ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჯაძე (?)	კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი), კ. მეავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი)	08.07 ბათუმში, 18.07-დან ჩაქვში ემზადება
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), დვითინიძე (მერანი), ე. გვასალია, ფანჩულიძე (?, ისრაელი)	რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, გოჩა ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეფავა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2)	11.07-დან ბაკურიანში ემზადება
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი (თბილისი), ტარიელაშვილი (ალაზანი), მესიაჩენკო (ოკეანე)	27.06-დან ბოლნისში ემზადება
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ადეიშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე, (?, რუსეთი), ნაროუშვილი, ივეჩიანი (ლოკომოტივი)		05.07-დან მოსკოვში ემზადება
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დასასრული); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი), გრიგალაშვილი (ცხინვალი), ა. ხმალაძე (არსენალი)	21.06-დან გორში ემზადება *ტორპედო 0:4, ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1*
	მერანი *სერგო გაბელაია*	დევაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), კობესაშვილი (ლოკომოტივი)	ოდიშარია (ხობი), დვითინიძე (კოლხეთი), გელა ქორიძე (ბათუმი)	10.07-დან თბილისში ემზადება
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	*ჯიშკარიანი (ტორპედო ბილი, რუსეთი),* ჩიხრაძე, ლ. მიქაძე (ჰაპოელი, ბეერშევა, ისრაელი), კაციშვილი (მარგვეთი), ჯუღელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაქრაძე, გოგიჩაიშვილი, გ. გვაზავა, დ. გოდერძიშვილი, ონიანი (?), ძოძუაშვილი (ერზურუმსფორი, თურქეთი), ჭიქვეიშვილი (ისრაელი)	გონჩაროვი, ზ. გაგნიძე (თბილისი), ნაროუშვილი, ივეჩიანი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბ აიანადი (ხობი), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი), კობესაშვილი (მერანი)	25.06-დან თბილისში ვარჯიშობს. 22.07-დან კოჯორში მოემზადება *გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2*
	თსუ *თენგიზ კაციკა*	ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია)	მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არუშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი), ბუკია (გორდა)	17.07-დან ლაგოდეხშია, 04.08-14.08 კი მალთაყვაში მოემზადება *ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1*
	გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), ბუკია (თსუ)	ჭიაბრიშვილი (ზოოვეტი)	28.06-დან რუსთავში ემზადება *ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0*

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩა ჯამარაულისთვის გრესის სიტყვა წამალია

გასულ შაბათ-კვირას შვეიცარიაში ახალი საფეხბურთო სეზონი დაიწყო, რაც „სარბიელის“ ლეგიონერთა გამოშვებებს, ცხადია, გაამრავალფეროვნებს. პირველ ტურში სამმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა.

გოჩა ჯამარაულის და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხი“ „ივერდონს“ ესტუმრა. ციურიხელები სამ ქულას გეგმავდნენ, თუმც ბოლოს ერთსღა დასჯერდნენ. ორივე ჩვენებურმა შეუცვლელად ჩაატარა მთელი მატჩი. შედარებით უფრო აქტიური ყაველაშვილი გახლდათ, მას ერთი-ორჯერ კარგი მომენტიც შეექმნა, მაგრამ ვერ ივარგა. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელს განსაკუთრებით 63-ე წუთზე მართებდა გატანა, თუმც მიშამ თავით ცარიელ კარს ააცილა ბურთი. ამ დროს „ციურიხი“ 1:0-ს იგებდა და ქართველს რომ ემარჯვა, ალბათ, გრესის გუნდი სამ ქულასაც აიღებდა. ბოლოს კი მასპინძლებმა გათანაბრება შეძლეს.

„არაუს“ ახალწვეულმა ლევან ხომერიკმაც 90 წუთი გაატარა მინდორზე, მაგრამ თავის გუნდს ვერაფრით დაეხმარა. არაუელები სტუმრად „სერვეტს“ 53-ე წუთამდე უგებდნენ, თუმც საბოლოოდ დამარცხდნენ — 1:2.

პირველი ტურის შემდეგ ციურიხელ ფეხბურთელებს თავს მწვრთნელის ჟილბერტ გრესის კრიტიკა დაატყდათ, გუნდის თავკაცმა განსაკუთრებით ნახევარდაცვის თამაში დაიწუნა. ჯამარაულმა და კომპანიამ მწვრთნელის კრიტიკა და დარიგებები, ჩანს, შეისმინეს და შეცდომა გუშინწინ შინ „სერვეტთან“ მეორე ტურის მატჩშივე გამოასწორეს.

მასპინძლებს შეხვედრის დებიუტი ჩაუვარდათ. 25-ე წუთზე უკვე 0:2-ს აგებდნენ, თუმცა შემდეგ ნახევარმცველთა კარგი თამაშის წყალობით მდგომარეობის გამოსწორება შეძლეს. ტაიმის მიწურულს ციურიხელთა ფორვარდმა მარიო ფრიკმა ერთი ბურთი გაქვითა, მეორე ნახევარში კი ჯამარაულმა ივაჟკაცა. 64-ე წუთზე გოჩამ ჰელდმანთან გათამაშა ბურთი და საჯარიმოს გარედან ძლიერი დარტყმით პედატს შანსი არ დუტოვა — 2:2. მატჩიც ასე მორჩა.

ლეგიონერთა დღევანდელ გამოშვებაში კი უდავოდ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია უნდა გამოვარჩიოთ. რუსეთის ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩში „სპარტაკთან“ 0:2-ზე ზაზამ ხარლაჩევის პასი გოლად აქცია და თავისიანებს შეხვედრის გადარჩენის იმედი ჩაუსახა. საბოლოოდ ასეც მოხდა, რკინიგზელებმა 3:2 მოიგეს, ჯანაშია კი ყველაზე აქტიურად ცნეს და „სპორტ ეკსპრესმა“ ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც (წლეულს პირველად) შეიყვანა.

დამარცხებული „სპარტაკის“ შემადგენლობაში კი 18 წლის მცველის ოთარ ხიზანეიშვილის დებიუტი შედგა, საკმაოდ კარგიც. მისი თითქმის უშეცდომო თამაში მწვრთნელებმაც აღნიშნეს და ჟურნალისტებმაც. ხიზანეიშვილი რომანცევმა პირველი ტაიმის შემდეგ ბუშმანოვის ნაცვლად შეუშვა. საერთოდ ჩვენებურს ძირითად შემადგენლობაში თამაშს უპირებდნენ, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ოთარის სატრანსფერო ფურცელი რომ გააგზავნა, რომანცევს სასტარტო შემადგენლობა უკვე შერჩეული ჰყავდა.

მიხეილ აშვეთიას, ლევან სილაგაძის და მამუკა წერეთლის „ალანიამ“ ვლადიკავკაზში ვოლგოგრადის „როტორს“ უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა. ჩვენებურთაგან მხოლოდ წერეთელმა ითამაშა. მანაც მხოლოდ საწყისი 36 წუთი დაჰყო მინდორზე, მერე კი ტრავმა მიიღო და ავერიანოვმაც ლიტველი ჟუტაუტასით შეცვალა. წერეთელი იმ 36 წუთში საიმედოდ კი იდგა დაცვაში, მაგრამ უხეშობის გამო „გაყვითლებაც“ მოასწრო. აშვეთიამ მთელი შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე გაატარა, მწვრთნელებმა მისი მინდორზე შეყვანა საჭიროდ არ ჩათვალეს. სილაგაძე კი დისკვალიფიცირებული გახლდათ.

დავით გვარამაძის „კრილია სოვეტოვმა“ ცსკა-სთან სტუმრად 0:2 წაგო. დათო კვლავაც ლავრენცოვის ჩრდილქვეშაა. ტარხანოვმა სამარელთა კარის დაცვა სწორედ მას ანდო, გვარამაძე კი სკამზე დასვა.

წინა ტურში „კრილია სოვეტოვის“ ღირსება ზურაბ ფოფხაძემაც დაიცვა, ახლა კი ლეგიონერთა ცხრილში მისი გვარის გასწვრივ ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივს“ ამოიკითხავთ. სამარელებმა ფოფხაძე სეზონის ბოლომდე ამ კლუბში გაანათხოვრეს. ნიჟნი ნოვგოროდელებს ამ ტურში არ უთამაშიათ, ამჟამად სოჭში იმყოფებიან და მომავალი მატჩებისთვის იქ ემზადებიან. ფოფხაძეც უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

უკრაინის მეათე ჩემპიონატში პირველი, საერთოდ კი საიუბილეო მე-200 გამარჯვება იზეიმა კიევის „დინამომ“. კიეველებმა, რომელთა შემადგენლობაში კვლავაც ერთმა ჩვენებურმა, გიორგი დემეტრაძემ ითამაშა, შინ სიმფეროპოლის „ტავრიას“ ძალიან იოლად სძლიეს 3:0. ამ მოგებაში თავისი არცთუ მოკრძალებული წვლილი დემეტრაძემაც შეიტანა. ხიზანეიშვილი რომანცევმა პირველი ტაიმის შემდეგ ბუშმანოვის ნაცვლად შეუშვა. საერთოდ ჩვენებურს ძირითად შემადგენლობაში თამაშს უპირებდნენ, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ოთარის სატრანსფერო ფურცელი რომ გააგზავნა, რომანცევს სასტარტო შემადგენლობა უკვე შერჩეული ჰყავდა.

გიორგი დემეტრაძეს პასი არც წაქცეულს დაეწუნება

გოჩა ჯამარაული

სახელი	გვარი	გუნდი		სად	მეტოქე	ნთ	შენიშვნა	თ	გ	ა
რუსეთი										
უმაღლესი ლიგა										
ზაზა	ჯანაშია	ლოკომოტივი მ.	შ		სპარტაკი 3:2	90	1 გოლი	9	2	2
ოთარ	ხიზანეიშვილი	სპარტაკი	ს		ლოკომოტივი 2:3	45		1	0	1
მიხეილ	აშვეთია	ალანია	შ		როტორი 2:0	0	სათადარიგო	14	4	9
ლევან	სილაგაძე	ალანია	შ		როტორი 2:0	0	დისკვალიფიცირებულია	12	1	9
მამუკა	წერეთელი	ალანია	შ		როტორი 2:0	36	გააფრთხილეს, შეცვალეს	12	0	9
დავით	გვარამაძე	კრილია	შ		ლოკომოტივი 0:2	0	სათადარიგო	6	-11	12
ზურაბ	ფოფხაძე	ლოკომოტივი ნ.			ტური გამოტოვა	0		0	0	16
დავით	ხმელიძე	როსტსელმაში			ტური გამოტოვა	0		0	0	11
ალექსანდრე	გოგობერიშვილი	ანჟი			ტური გამოტოვა	0		1	0	6
ინტერტოტის თასი										
დავით	ხმელიძე	როსტსელმაში			ტური გამოტოვა	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	0
რუსეთის თასი										
მიხეილ	ჯიშკარიანი	ტორპედო ზილი	შ		კრისტალი 3:1	87	შეცვალეს	6	0	0
ზვიად	ჯელაძე	ლ.პეტერბურგი	ს		ოაზისი 4:4, პენ. 3:4	0	?	12	1	0
გიზო	ჯელაძე	ლ.პეტერბურგი	ს		ოაზისი 4:4, პენ. 3:4	0	?	14	0	0
ბახვა	ამბიძე	ვოლგარი	ს		სოკოლი 0:4	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	5	1	13
გოჩა	გოგრიჭიანი	ჟემჩუჟინა	შ		სპარტაკი ნალ. 3:2	45	შეცვალეს	14	0	0
უკრაინა										
უმაღლესი ლიგა										
კახა	კალაძე	დინამო	შ		ტავრია 3:0	0	ტრავმა	0	0	3
გიორგი	დემეტრაძე	დინამო	შ		ტავრია 3:0	90	1 გოლი, 1 საგოლე პასი	2	1	3
ალექსანდრე	კაიდარაშვილი	კრივბასი	ს		ვორსკლა 1:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	1
ვიტალი	დარასელია	ცსკა	შ		შახტარი 1:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	2
ავთანდილ	კაპანაძე	ნივა	შ		სტალი 0:0	45	შეცვლაზე ითამაშა	1	0	12
ტარიელ	კაპანაძე	ნივა	შ		სტალი 0:0	45	შეცვლაზე ითამაშა	1	0	12
კახა	დგებუაძე	ნივა	შ		სტალი 0:0	90		2	0	12
ავთანდილ	გვიანიძე	ნივა	შ		სტალი 0:0	90		2	0	12
ავთანდილ	სიხარულიძე	ნივა	შ		სტალი 0:0	45	შეცვალეს	1	0	12
შოთა	ჩომახიძე	ნივა	შ		სტალი 0:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	12
ირაკლი	შენგელია	ნივა	შ		სტალი 0:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	12
გოჩა	ტრაპაიძე	ტავრია	ს		დინამო 0:3	61	შეცვლაზე ითამაშა	1	0	9
შვეიცარია										
უმაღლესი დივიზიონი										
გოჩა	ჯამარაული	ციურიხი	ს		ივერდონი 1:1	90		1	0	6
მიხეილ	ყაველაშვილი	ციურიხი	ს		ივერდონი 1:1	90		1	0	6
ლევან	ხომერიკი	არაუ	ს		სერვეტი 1:2	90		1	0	9
გოჩა	ჯამარაული	ციურიხი	შ		სერვეტი 2:2	90	1 გოლი, გააფრთხილეს	2	1	5
მიხეილ	ყაველაშვილი	ციურიხი	შ		სერვეტი 2:2	81	შეცვალეს	2	0	5
ლატვია										
უმაღლესი ლიგა										
დავით	ჩალაძე	სკონტო	შ		ვალმეირა 4:0	0	ტრავმა	13	4	1
ალექსანდრე	რეხვიაშვილი	სკონტო	შ		ვალმეირა 4:0	0	დისკვალიფიცირებულია	11	1	1
ზურაბ	მენთეშაშვილი	სკონტო	შ		ვალმეირა 4:0	90	1 გოლი	11	4	1
ლევან	კორლალიძე	სკონტო	შ		ვალმეირა 4:0	90		12	3	1
ვალერი	გაგუა	პოლიციასი	შ		დაუგავა 1:0	0	?	10	1	8

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

გამპერს ბარსელონა არ უნდა დაეარსებინა

არჩევნებამდე ოთხი დღით ადრე

იოჰან კრუიფი: ბასატის სარეკლამო ტრიუკი

ლუის ბასატი ამბობდა, თუ „ბარსელონას“ პრეზიდენტად ამირჩევენ, ვიცე-პრეზიდენტად ლეგენდარულ იოჰან კრუიფს მოვიყვანო. მოგეხსენებათ, „ბარსელონაში“ საპრეზიდენტო არჩევნები კვირასაა დანიშნული. ხმის უფლება კლუბის 100 ათასზე მეტ წევრს აქვს. ბასატის გარდა კენჭს იყრიდნენ ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტი და ფავორიტი ხუან გასპარი და აუტსაიდერად მიჩნეული ხუან კასტელსი, მაგრამ კასტელსმა გუშინ თავისი კანდიდატურა გასპარის სასარგებლოდ მოხსნა.

ბასატის წინასაარჩევნო პროგრამაში მნიშვნელოვან როლს სწორედ იოჰან კრუიფის ფიგურა და მხარდაჭერა თამაშობს, მაგრამ „ბარსელონას“ ყოფილი მოთამაშისა და მწვრთნელის ვიცე-პრეზიდენტად დანიშვნა მაინც სარეკლამო ტრიუკი ალმოჩნდა:

— მე უცხოელი ვარ და მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთში 27 წელიწადი მიცხოვრია, კლუბის წესდების თანახმად, დირექტორატის წევრი ვერ გავხდები — განაცხადა ჰოლანდიელმა, შემდეგ კი სიტყვის ირონია დაამატა — ძველმა დირექტორატმა რისი შეცვლაც შეიძლებოდა, ყველა წესი შეცვალა ამ ერთის გარდა. ესე იგი, კაცი, რომელმაც თავის დროზე „ბარსელონა“ დაარსა, დღეს პრეზიდენტი ვერ გახდებოდა.

მოგეხსენებათ, კატალონიის დედაქალაქში ჩვენს დროში ასე ცნობილი საფეხბურთო კლუბი 1899 წელს შვეიცარიელმა ხუან გამპერმა ჩამოაყალიბა.

ერთი სიტყვით, „ბარსელონაში“ დიდი დაპირისპირება და დაძაბულობაა, რომელიც კვირას უნდა განიმუხტოს. ამ ბრძოლაში კრუიფი აშკარად ბასატს უჭერს მხარს, რადგან ყოფილ პრეზიდენტთან ხოსე ლუის ნუნიესთან და მის მარჯვენა ხელთან, ხუან გასპართან უკვე რამდენიმე წელია სერიოზული უთანხმოება აქვს და გუნდიც, ფაქტობრივად, მათ გამო დატოვა.

და კიდევ, როგორც ადრეც მოგახსენეთ, ბასატის წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე მყვირალა პუნქტი მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში „იუვენტუსისგან“ ზინედინ ზიდანის ყიდვა გახლავთ, თუმცა ძალიან საეჭვოა იტალიურ კლუბს ფრანგი გამთამაშებლის გასხვისება უნდოდეს.

ჟინოლას ხამშოგლოში ელიან

ფრანგ ნახევარმცველ დავიდ ჟინოლას მარსელის „ოლიმპიკმა“ დაადგა თვალი, თუმცა „ტოტენჰემის“ 33 წლის ფეხბურთელს „ასტონ ვილაშიც“ ინვეევენ. მარსელელები რობერ პირესის შემცვლელს ეძებენ, რომელიც ცოტა ხნის წინ „არსენალში“ გადავიდა. „ჟინოლას შეძენა მართლაც განვიზრახეთ, გამოცდილი ფეხბურთელები გვჭირდება“ — განუცხადა „ოლიმპიკის“ ხელმძღვანელმა ჟურნალისტებს. „ოლიმპიკს“ ბრაზილიელი ფორვარდის სევერინო ლუკასის შეძენაც სურს. ფრანგებმა „ატლეტიკო პარანენსესთან“ შეთანხმებას თითქმის მიაღწიეს და 21 წლის ფეხბურთელს მალე, ალბათ თავისთან გადაიბირებენ. სატრანსფერო თანხა დაახლოებით 8,5 მილიონი დოლარია. აღსანიშნავია, რომ ლუკასი ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. იგი ალბათ სიდნეის ოლიმპიადაზეც ითამაშებს.

დავიდ ჟინოლა

მე არა, რუმენიგე

ფრანც ბეკენბაუერი ფიფას პრეზიდენტობას არ აპირებს.

„ეს საქმე არ მაინტერესებს“ — განაცხადა კაცმა, რომლის ხელმძღვანელობითაც გერმანიამ რამდენიმე დღის წინ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა მოიპოვა — „ახლა მინდა მზადებაში მივიღო მონაწილეობა.“ დღეს 54 წლის მოღვაწე გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი და მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტია და საერთაშორისო სარბიელზე მოღვაწეობისათვის თანამემამულეთგან კარლ ჰაინც რუმენიგეს კანდიდატურას სთავაზობს.

„მას ყველაფერი ხელეწიფება“ — თქვა „კიზერმა“ — „საჯარო გამოსვლების ჩინებული უნარით, კულტურითა და მრავალი უცხო ენის ფლობით რუმენიგე ჩემზე უკეთეს მდგომარეობაშია.“ კარლ ჰაინც რუმენიგე ბეკენბაუერთან ერთად „ბაიერნში“ მუშაობს — ვიცე პრეზიდენტია და სულ ცოტა ხნის წინ გერმანიის ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელადაც დაინიშნა. მოგეხსენებათ, 1996 წლის ევროპის ჩემპიონს დროებით რუდი ფიოლერი უხელმძღვანელებს. დროებით დროებით მას და მის ასისტენტებს — მათ შორის რუმენიგესაც — ურთულესი ამოცანა აქვთ გადასაჭრელი: საერთო აზრით, ეროვნულ გუნდში ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყონ.



ფრანც ბეკენბაუერს (მარჯვნივ) იოზეფ ბლატერის სკამი არ უნდა

ფეხბურთის ჩანაწერები

ინგლისურმა „საუთჰემპტონმა“ „ასტონ ვილას“ მცველი მარკ დრეპერი 1,25 მილიონ დოლარად შეიძინა. 29 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. თუ დრეპერი „საუთჰემპტონში“ განსაზღვრული რაოდენობის მატჩებს ითამაშებს, სატრანსფერო თანხა 1,3 მილიონ გირვანქამდე გაიზრდება. დრეპერმა წინა სეზონში „ასტონ ვილას“ შემადგენლობაში მხოლოდ ერთხელ ითამაშა, ერთხანს ის „რაიო ვალეკანოში“ გაანათხოვრეს. ფეხბურთელის განცხადებით, იგი მოუთმენლად ელის ახალი სეზონის დაწყებას.

ესპანელი ნახევარმცველი ლუის ელგერა „სარაგოსადან“ „უდინეზეში“ გადავიდა. იტალიურმა კლუბმა ესპანელებს 800 ათასი გირვანქა გადაუხადა. 23 წლის ფეხბურთელი სერია A-ში თამაშზე ყოველთვის ოცნებობდა. ესპანელი უდინეში უახლოეს მომავალში ჩავა, იგი კვირას ინტერტოს თასზეც ითამაშებს. „უდინეზეს“ „ვენეციას“ 26 წლის ნახევარმცველის ივონე დე ფრანჩესკოს შეძენაც სურს. სააგენტოების ცნობით, უდინური კლუბი თანახმაა, ფეხბურთელის სანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. გუნდების ხელმძღვანელები ტრანსფერის მოსაგვარებლად მომავალ კვირას შეხვდებიან ერთმანეთს.

ინგლისური სააგენტოების ცნობით, „ბარსელონას“ ჰოლანდიელი მცველის, უინსტონ ბოგარდის შეძენის სურვილი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „ჩელსიმ“ გამოთქვეს. „აიაქსის“ ყოფილი ფეხბურთელი „ბარსელონაში“ ალბათ აღარ დარჩება, ლონდონურმა კლუბმა ჰოლანდიელს უკვე კარგა ხანია დაადგა თვალი, „მანჩესტერის“ სურვილი კი ერთობ მოულოდნელია. 29 წლის ბოგარდი „ბარსელონასთან“ ერთად ჯერჯერობით ვერ ვარჯიშობს, მას ტრავმა აწუხებს. ადრე ბოგარდის გადაბირების სურვილი „მიდლსბრომაც“ გამოთქვა.

გერმანულმა „უნტერჰახინგმა“ „ვოლფსბურგის“ მეკარე გვიდო კოლტერმანი შეიძინა. 23 წლის გოლკიპერი ახალ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კოლტერმანი „ვოლფსბურგის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და სარეზერვო გუნდში თამაშობდა. „უნტერჰახინგის“ პირველი მეკარე იურგენ ტრემელია, გუნდში კიდევ ერთი გოლკიპერია — იურგენ უოტმანი. ასე რომ, კოლტერმანს დიდი ბრძოლა მოუწევს ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად.

პორტუგალიურმა „პორტუმ“ ხორვატი ნახევარმცველი სილვიო მარჩი „ნიუკასლისგან“ შეიძინა. ბობი რობსონი ფეხბურთელის გაყიდვას კარგა ხანია აპირებდა. პრესის ცნობით, პორტუელებმა „კაჭკაჭებს“ მარჩის სანაცვლოდ 2,8 მილიონი დოლარი გადაუხადეს. 25 წლის ნახევარმცველი პორტუგალიაში უკვე ჩავიდა. სააგენტოები იუწყებიან, რომ „პორტუმ“ არგენტინელი ხუან ანტონიო პიციც გადაიბირა. ფეხბურთელი ბოლოს „როსარიო სენტრალში“ თამაშობდა.

უელსელი მეკარე მარკ კროსლი „მიდლსბროში“ ჩაირიცხა. 31 წლის ფეხბურთელმა „ნოტინგემ ფორესტი“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა და ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „მარკის მოსვლა ძალიან სასიხარულოა. იგი გამოცდილია, 13 წელიწადს „ნოტინგემში“ თამაშობდა, ახლა ის კარიერის პიკზე უნდა იყოს“ — თქვა „მიდლსბროს“ მთავარმა მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა.

ბელგიელი ნახევარმცველი მარკ ვილმოტსი აცხადებს, რომ იგი „შალკედან“ „ბორდოში“ გადასვლას აპირებს. „საფრანგეთში გადასვლის შანსი მაქვს და უნდა გამოვიყენო, ბორდოში ცხოვრების დონე უკეთესია, ვიდრე გელზენკირხენში“ — თქვა 31 წლის ვილმოტსმა, რომელმაც ევრო 2000-ზე ითამაშა. ბელგიელი „შალკეში“ 1996 წელს ლიეჟის „სტანდარდიდან“ გადავიდა. 1997 წელს მან უეფას თასი მოიპოვა. ბუნდესლიგაში 104 შეხვედრა ჩაატარა და 21 გოლი გაიტანა. ვილმოტსმა ისიც დასძინა, გერმანიაშიც ბედნიერი ვიყავიო.

ინგლისური „ევერტონი“, ალბათ სულ მალე შვედ ნიკოლას ალექსანდერსონთან გააფორმებს კონტრაქტს, ფეხბურთელმა ლივერპულურ კლუბთან პირობები თითქმის შეთანხმა. სატრანსფერო თანხა 3,74 მილიონი დოლარია. ალექსანდერსონის გაშვებაზე არც „შეფილდ უენსდი“ ამბობს უარს. „დასანანია, ნიკოლასის გაშვება რომ მოგვიწევს, მაგრამ კლუბს ფინანსები სჭირდება, ამიტომ სხვა გზა არ გვაქვს. ვიმედოვნებთ, იგი „ევერტონში“ წარმატებებს მიაღწევს“ — განაცხადა „უენსდის“ ხელმძღვანელმა პოლ იუელმა. 28 წლის ფეხბურთელი „შეფილდში“ 1997 წელს „გოიტებორგიდან“ 1,1 მილიონ დოლარად გადავიდა.

ჩილელი ფორვარდის ივან სამორანოს შეძენა „ოვიედოს“ სურს. იტალიური პრესის ცნობით, ესპანელები „ინტერის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებენ. „ოვიედოს“ ახალი მწვრთნელის, იუგოსლავიელი რადომირ ანტიჩის განცხადებით, სამორანო გამოცდილი ფეხბურთელია და მის გუნდს ძალიან გამოადგება. „ოვიედომ“ ცოტა ხნის წინ ორი ახალი ფეხბურთელი შეიმატა — ბელგრადის „პარტიზანის“ ფორვარდი ჯორჯე ტომიჩი და „ცრვენა ზვეზდასა“ და იუგოსლავიის 21-წლამდელთა ნაკრების მცველი მილან მარტინოვიჩი.

პორტუგალიელი ნახევარმცველი ბრუნო „ნიუკასლში“ გასასინჯად ჩავიდა. თუ ბობი რობსონმა იგი მოიწონა, არ არის გამორიცხული, „მარიტიმუს“ ფეხბურთელი თავისთან დაიტოვოს. სატრანსფერო თანხა დაახლოებით 2 მილიონი გირვანქაა. „ფეხბურთელი შემოწმებას გაივლის. იგი ნიუკასლში ცოტა ხნით დარჩება. ამის შემდეგ შეიძლება ვიყიდოთ“ — განაცხადა „კაჭკაჭთა“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა. ბობი რობსონს თურქი ნახევარმცველის სერგენ იალჩინის შეძენაც სურს. ინგლისური პრესის ცნობით, „ნიუკასლი“ „გალათასარაის“ 27 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 2,5 მილიონ გირვანქას სთავაზობს.

ინგლისის პრემიერლიგაში ახალგადასული „მანჩესტერ სიტი“ „ასტონ ვილას“ მცველის უგო ეჰიოგუს შეძენას აპირებს და კლუბისთვის სარეკორდო თანხას იხდის. „ეჰიოგუს შეძენა გადავწყვიტეთ. მზად ვართ, მის სანაცვლოდ 6 მილონი გადავიხადოთ“ — განაცხადა „სიტის“ პრესატაშემ. ეჰიოგუ „ასტონ ვილაში“ 1991 წლის შემდეგ ირიცხება. 27 წლის ფეხბურთელს ერთხელ ინგლისის ნაკრებშიც უთამაშია. ადრე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „ასტონ ვილა“ ეჰიოგუს ტოტენჰემელ დავიდ ჟინოლაში ცვლიდა, მაგრამ შეთანხმება ვერ განხორციელდა.

ფრანგი მეკარე ბერნარ ლამბ, რომელსაც „პარი სენ ჟერმენმა“ კონტრაქტი არ გაუგრძელა, ალბათ „რენში“ გადავა. კლუბის ხელმძღვანელობის ცნობით, მათ გოლკიპერთან წინასწარი შეთანხმება გააფორმეს. ტრანსფერი სავარაუდოდ რამდენიმე დღეში განხორციელდება და 37 წლის მეკარე „რენში“ ჩაირიცხება. მოგახსენებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატი 29 ივლისს იწყება.

ბრაზილიას ჩილავერტის დარტყმამ წააგებინა

REUTERS მონტევიდეოდან

ურუგვაი — ვენესუელა 3:1. ვენესუელელი უილფრედო ალვარადო ურუგვაელი ალვარო რეკობას (№10) შეჩერებას ცდილობს

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

სამხრეთ ამერიკა

პარაგვაი 2:1 ბრაზილია

1:0 პარედესი (6), 1:1 რივალდო (74), 2:1 ხორხე კამპოსი (83)

პარაგვაი: ჩილავერტი, სარაბია, სელსაიალა, გამარა, კანისა, რობერტო აკუნია, ენკისო, პარედესი (ხორხე კამპოსი 65), გავილანი (კინტანა 68), სანტა კრუზი (ავალოსი 79), კარდოსო

ბრაზილია: დიდა, კაფუ, ედმილსონი, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი, ფლავიო კონსეისაუ, სეზარ სამპაიო, ზე რობერტო (მარკესი 70), რივალდო, ჯალმინია (ვამპეტა 60), ფრანკა (გილიერმე 46)

გაძევება: კაფუ

40 000 მაყურებელი

სანამ ამ მატჩის აღწერას შევუდგებოდეთ, წინა ტურის ამბავი უნდა გავიხსენოთ. ბრაზილია ურუგვაელებს მასპინძლობდა და სირცხვილს ძლივს გადაურჩა. ურუგვაელები მე-6 წუთზე დაწინაურდნენ და შეხვედრის მიწურულს რივალდოს საპასუხო გოლი რომ არ გაეტანა, ქომაგთა რისხვას ვერ გადაურჩებოდნენ.

ამჯერადაც ბრაზილიელთა მეტოქემ პირველი გოლი მე-6 წუთზე გაიტანა. იმავე რივალდომ გაათანაბრა, მაგრამ 83-ე წუთზე ხორხე კამპოსის დარტყმულმა ბრაზილიელებს შინ არასდროს დამარცხებულან, ხოლო სტუმრად ერთადერთხელ წააგეს — ბოლივიასთან 1993 წელს. ჰოდა, პარაგვაისთან შეხვედრა, შესაძლოა, მათთვის მეორე უიღბლო ყოფილიყო.

ასეც მოხდა, ბრაზილიელები ნაადრევად დამშვიდნენ და დაისაჯნენ კიდეც. შეცვლაზე შესულმა ხორხე კამპოსმა თამაშის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე გამარჯვების გოლი შეაგდო. და იცით, ვინ მისცა კამპოსს საგოლე პასი? ხოსე ლუის ჩილავერტმა. მეკარის დარტყმულმა ბურთმა მთელი მოედანი გადაკვეთა და ბრაზილიელთა საჯარიმოსთან კამპოსი მოძებნა. ცხადია, ბრაზილიელები ასეთ უსწრაფეს იერიშს არ ელოდნენ და...

URUGVAI 3:1 VENESUELA

0:1 ნორიეგა (23), 1:1 ოლივერა (30), 2:1 როდრიგესი (53), 3:1 ოლივერა (90)

ურუგვაი: კარიმი, პაისი, მონტერო (რამოსი 83), ლემბო, როდრიგესი, გუიგუ, გარსია, ონეილი, რეკობა, ოლივერა, დარიო სილვა

ვენესუელა: ანგელუსი, ხიმენესი, ხოსე გონსალესი, ალვარადო, მარტინესი, ურდანეტა, ფარიასი (ვერა 63), ტორტოლერო, ვიტალი, სავარესე (პერესი 73), ნორიეგა (ალვარესი 63)

გაძევება: დარიო სილვა, ხიმენესი

62 000 მაყურებელი

მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირში ვენესუელა 1965 წლიდან თამაშობს. ეს თარიღი კი იმიტომ ვახსენე, რომ მეთქვა, მას მერე 35 წელი გავიდა, ვენესუელელებს კი სტუმრად თამაში არასდროს მოუგიათ.

რისი იმედი უნდა ჰქონდეს ნაკრებს, რომელიც თავისაირ უსუსურ ეკვადორსაც კი ვერ ამარცხებს და მეტოქედ ურუგვაი ერგო? ცხადია, არაფრის. ეს ურუგვაელმა გულშემატკივრებმაც იცოდნენ და ამიტომ მე-7 წუთზე ალვარო რეკობას გაფუჭებულ პენალტს ისინი დიდად არ შეუშფოთებია, მაინც გავიტანთო, იფიქრეს. ისე, თავად რეკობამაც უხეიროდ დაარტყა, ბურთის ასაღებად ვენესუელელ მეკარეს გილბერტო ანგელუსის ფანტასტიკური ნახტომის გაკეთება სულაც არ დასჭირვებია, პირდაპირ მიუგორდა.

ასეთი ოინბაზობით კი, მეტოქედ ვენესუელაც რომ გყავს, შეიძლება დაისაჯო. აკი ასეც მოხდა, დანიელ ნორიეგამ 23-ე წუთზე ბურთი მასპინძელთა სამ მცველს შორის გააძვრინა და გოლი გაიტანა. მაშინ კი მიხვდნენ ურუგვაელები, რომ თამაშის მოსაგებად ოფლის ღვრა იყო საჭირო და შეუტიეს. შეტევებს კი სამი გოლი მოჰყვა, ორი ნიკოლას ოლივერას, ერთიც დარიო როდრიგესის გატანილი.

სამხრეთ ამერიკაში ფეხბურთელებს შორის გაწევ-გამოწევა ხშირად ხდება და ამ შეხვედრაშიც ასე იყო. ერთ მომენტში ურუგვაელმა დარიო სილვამ ლეონოლდო ხიმენესი ჩაწიხლა და მსაჯს თავი გააძევებინა. თუმცა სანამ მოედნიდან გავიდოდა, ხიმენესისგან ხურდა მიიღო და გასახდელისკენ გზას ერთად გაუდგნენ.

სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა, ურუგვაი ვენესუელას რომ დაამარცხებდა, ამის გამოცნობას დიდი გულთმისნობა არ სჭირდებოდა.

ბიორგი დარჯანია

არგენტინა	4	4	0	0	12:2	12
ურუგვაი	5	3	1	1	7:4	10
პარაგვაი	5	3	0	2	7:7	9
ბრაზილია	5	2	2	1	6:5	8
ეკვადორი	4	2	0	2	7:7	6
კოლუმბია	4	1	2	1	5:4	5
პერუ	4	1	1	2	4:4	4
ჩილე	4	1	1	2	6:8	4
ვენესუელა	5	1	0	4	5:14	3
ბოლივია	4	0	1	3	3:7	1

REUTERS ასუნციონიდან

პარაგვაი — ბრაზილია 2:1. ბრაზილიელი მარკესი და პარაგვაელი კარლოს გამარა (№4)

პირველი ფრანგი რუსეთში

მოსკოვის „ტორპედომ“ ფრანგი ჟუან დიუვო შეიძინა. ამრიგად, რუსეთის ჩემპიონატში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ქვეყნის პირველი წარმომადგენელი ითამაშებს. „ნანტის“ სკოლის აღზრდილ დიუვოს საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებშიც უასპარეზია.

22 წლის ფეხბურთელის შეძენას მოსკოველები ერთობ გაუხარებია. დიუვო ბოლოს „მარიტიმუში“ თამაშობდა. „ტორპედომ“ იგი სწორედ პორტუგალიიდან გადაიბირა.

„სასიხარულო ფაქტია. რუსეთში პირველი ფრანგი ითამაშებს, გვჯერა, იგი თანაგუნდელებს შეეწყობა, ძალიან გამოგვადგება და წარმატებებს მიაღწევს“ — იუწყება მოსკოვური კლუბის ხელმძღვანელობა.

დიუვოს გადაბირება „ტორპედოს“ დიდ მიღწევად ჩაუთვალა რუსულმა გაზეთმა „სპორტ ექსპრესმა“. მათი განცხადებით, რაც უფრო მეტი უცხოელი ითამაშებს რუსეთში, ჩემპიონატის დონე მით უფრო აიწევს და პირველობა პოპულარული გახდება. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, დიუვო პირველი ფრანგია, რომელიც რუსული კლუბის ღირსებას დაიცავს. „სპორტ ექსპრესი“ იმედოვნებს, რომ ახალი წამოწყება გაღრმავდება და რუსულ-ფრანგული ურთიერთობები კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

შვეიცარია

მე–11 ტური. გიოტებორგი — ფრიოლუნდა 0:2; გაის — ელფსბორგი 2:3; სუნდსვალი — ჰალმსტადი 1:2; იორებრო — ჰაკენი 1:2; ჰელსინგბორგი — აიკ 1:4; ჰამარბი — იორგრიტე 1:0; ნორჩიოპინგი — ტრელებორგი 0:0

ჰალმსტადი	11	7	1	3	18:8	22
აიკ	11	7	1	3	15:13	22
გიოტებორგი	11	5	4	2	18:12	19
ნორჩიოპინგი	11	5	3	3	15:9	18
ელფსბორგი	11	6	0	5	19:16	18
ჰელსინგბორგი	11	5	2	4	16:13	17
ჰამარბი	11	5	2	4	13:13	17
იორგრიტე	11	5	0	6	11:14	15
იორებრო	11	3	4	4	18:17	13
ჰაკენი	11	3	4	4	16:19	13
ტრელებორგი	11	3	3	5	9:11	12
სუნდსვალი	11	3	3	5	14:17	12
გაის	11	1	5	5	10:16	8
ფრიოლუნდა	11	2	2	7	7:21	8

თვრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატი

A ჯგუფი

გერმანია 3:0 ჰოლანდია

1:0 ბალიჩი (37); 2:0 ლუტი (76); 1:0 აუერი (80)

უკრაინა 2:1 ხორვატია

1:0 ბელიკი (44), 1:1 ბაბიჩი (45), 2:1 ბონდარენკო (85)

უკრაინა	2	2	0	0	3:1	6
გერმანია	2	1	0	1	3:1	3
ჰოლანდია	2	1	0	1	3:3	3
ხორვატია	2	0	0	2	1:5	0

B ჯგუფი

ჩეხეთი 0:1 საფრანგეთი

0:1 მატისი (18)

რუსეთი 1:1 ფინეთი

0:1 ფორსელი (13); 1:1 რომანოვი (75)

ფინეთი	2	1	1	0	3:2	4
საფრანგეთი	2	1	0	1	2:2	3
რუსეთი	2	0	2	0	2:2	2
ჩეხეთი	2	0	1	1	1:2	1

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ბრიტანელებს ეყოფათ

ფიფაში სიახლე მზადდება. აქამდე, მსოფლიო ფეხბურთის ხელისუფალი ორგანიზაციის ვიცე პრეზიდენტი აუცილებლად ბრიტანელი უნდა ყოფილიყო, ხოლო რა იქნება ამიერიდან, აგვისტოში, კონგრესზე გადაწყდება.

დღეს ვიცე პრეზიდენტად თავიანთი კაცის გაყვანას კარიბეთის ოთხი ფედერაცია აპირებს, თუმცა მანამდე წესი უნდა შეიცვალოს. ხსენებულ თანამდებობაზე ამჟამად შოტლანდიელი დევიდ უილი მუშაობს.

არის მოსაზრება, ვიცე-პრეზიდენტად აღმასკომის ის წევრი აირჩიონ, რომელიც უეფას ანუ ევროპას წარმოადგენს.

იკითხავთ, აქამდე ბრიტანეთი ასეთი უპირატესობით რატომ სარგებლობდაო. ეს გახლდათ ერთგვარი პატივისცემის გამოხატვა იმ ქვეყნისადმი, სადაც ფეხბურთი მოიგონეს, მეტი არაფერი.

ტრადიციის შესაცვლელად იბრძოლებს ოკეანიის ფეხბურთის კონფედერაციაც, რომელსაც, როგორც ჩანს, გუნებაში ასევე თავისი კანდიდატურის გაყვანა აქვს, თუმცა ამ რეგიონს მანამდე სკანდალურად ცნობილი ჩარლზ დემპსის საკითხის მოგვარება მართებს. მოგეხსენებათ, დემპსიმ ფიფას აღმასკომში მუშაობაზე ცოტა ხნის წინ განაცხადა უარი, როდესაც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლად გერმანიის დასახელება მის მიერ აღებულ ქრთამს დაბრალდა.

გარდა ამ თემებისა, 4-5 აგვისტოს, ციურიხში განიხილავენ საერთაშორისო ჰარმონიზებული კალენდრის და საფეხბურთო საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაფუძნების საკითხებს. სავარაუდოდ ფიფას 204-ე წევრად აირჩევენ ბუტანს.

იუვენტუსი: მაინც ჩემი იქნები

„იუვენტუსმა“ წინასწარი კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიური „ფლამენგოს“ განაპირა მცველთან, ათირსონთან, რომლის შესახებაც ტურინული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ ამასწინათ განაცხადა, მის ყიდვას არც ახლა ვაპირებთ და არც მომავალშიო.

ათირსონი 23 წლისაა, „ფლამენგოსთან“ კონტრაქტი 31 დეკემბერს გაუდის და ბრაზილიის ნაკრებში ერთხელ უთამაშია. შესაბამისად, 1 იანვრიდან მას თავისუფალი აგენტის სტატუსით შეეძლება იტალიაში გადაბარგება.

„თუმცა თეორიულად სულაც არაა გამორიცხული „ფლამენგოსთან“ ისე გარიგება, რომ იგი იანვრამდეც შემოგვიერთდეს“ — განუცხადა მოჯიმ „კორიერე დელო სპორტს“.

რიოში დაბადებული ათირსონი „ფლამენგოში“ უპირატესად დაცვის ცენტრში თამაშობს ნაჩვევი, მაგრამ „სანტოსში“ თამაშის დროს მარცხენა ფრთაზე გადაანაცვლეს და შეტევაც მოსთხოვეს. „იუვენტუსის“ მისადგომი ინტერესზე კარგა ხანია ლაპარაკობდნენ, ბრაზილიის ნაკრებში კი რობერტო კარლოსის შემცვლელად ესახებათ.

ყალბი პასპორტი და ნამდვილი დრამა

ამჟამად ეს საბუთი, ანუ პორტუგალიის მოქალაქის პასპორტი (№ F 790909) ბრიტანეთის სიყალბეთა ცენტრში ინახება და პატრონს, 22 წლის ბრაზილიელ ფეხბურთელ ედუს აღარასდროს დაუბრუნდება.

იმიტომ რომ ყალბია.

მთელი გასული კვირა უცხოურ სააგენტოებზე დაყრდნობით ვწერდით, რომ „კორინთიანსიდან“ ლონდონის „არსენალში“ 6 მილიონ გირვანქად გადასული ედუ „საბუთებში უწესრიგობის გამო“ დიდ ბრიტანეთში არ შეუშვეს. უწესრიგობა კი არა, როგორც გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, პასპორტი, უბრალოდ, ყალბი გამოდგა.

„ჰითროუს“ აეროპორტის მესამე ტერმინალის საემიგრაციო სამსახურის გამოცდილ მუშაკს ეჭვი მაშინვე გასჩენია, როცა ედუს პასპორტს დახედა და გაცემის თარიღი — 2000 წლის 26 მაისი — ამოიკითხა. ნამეტანი ახალიაო, უფიქრია. მერე საბუთი ულტრასხივებში გაუტარებია და...

„ეს წესი მიღებულია. ფეხბურთელები თავად არასდროს დარბიან საბუთების გასაკეთებლად. მეც ეს პასპორტი ჩემმა აგენტმა, ჟუან ფიგერმა მომცა და ეჭვი არაფერზე ამიღია. აბა, რა ვიცოდი, ყალბი თუ იყო“ — აცხადებს დაბნეული ფეხბურთელი.

დაიბნეოდა, აბა, რა იქნებოდა: ჯერ იყო და, ვერ გაიგო, ინგლისში რატომ არ უშვებდნენ, მერე კი 7 საათი საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის სხვა მოსურნეებთან ერთად პატარა ოთახში იჯდა. და რაც მთავარია, მისი პრემიერლიგური ოცნება ჩაშალა.

ბრაზილიაში დაბრუნებამ 13 საათი გასტანა, კოშმარი კი ამით მაინც არ დამთავრდა: „კორინთიანსი“ ფულის დაბრუნებაზე უარს ამბობს, „არსენალს“ კი არაევროკავშირელის გუნდში მიღება აღარ სურს.

კი ბატონო, ედუს ბაბუა მართლაც პორტუგალიელია, დღემდე ევროპაში ცხოვრობს და ედუს ამ ქვეყნის პასპორტის მიღება ოფიციალური გზითაც არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ ამას, სულ მცირე, ორი წელი დასჭირდება — ჯერ ბაბუამ თავის შვილ ედმუნდოს (ანუ ედუს მამას) უნდა გაუწიოს რეკომენდაცია, ამ საქმის მოგვარების შემდეგ კი ედუსაც ეშველება.

მაგრამ როდის... ორ წელიწადში, გენაცვალე.


2
HOLDER (1) TITULAR TITULAIRE
(2) Apelido(s)/Surname/Nom
DAUD GASPAR
(3) Nome(s) próprio(s)/Given name(s)/Prénom(s)
EDUARDO CESAR
(4) Nacionalidade/Nationality/Nationalité
PORTUGUESA
(5) Data de nascimento/Date of birth/Date de naissance
16.05.1978
(6) Sexo/Sex/Sexe M
(7) Local de nascimento / Place of birth / Lieu de naissance
BRASIL
(8) Data de emissão/Date of issue/Date de délivrance
26.05.2000
(9) Válido até/Date of expiry/Date d'expiration
26.05.2005
(10) Autoridade/Authority/Autorité
G. CIVIL DE LISBOA
(11) Assinatura do titular/Holder's signature/Signature du titulaire
3
(12) Bilhete de identidade/Identity card/Carte d'identité
12165772 de 10.02.2000 LISBOA
(13) Estado civil/Civil status/État civil
SOLTEIRO
(14) Domicílio/Residence/Domicile
LUMIAR * LISBOA

ყალბი პასპორტის ასლი გუშინ გაზეთ „სანში“ გამოქვეყნდა

UEFA EURO 2000 ევრო 2000

სარბიელის თერთმეტი რჩეული

ლუიშ ფიგუ პირველ აპრილსაც არ ხუმრობს

ძალიან ძნელია ლუიშ ფიგუზე წერა. არა იმიტომ, რომ მასზე სათქმელი არაფერია, უბრალოდ, თითქმის აღარაფერია. ვინ არის ფიგუ „ბარსელონასთვის“ და პორტუგალიის ნაკრებისთვის, ყველამ ვიცით, ამიტომ თხრობა მისი ბავშვობიდან დავიწყოთ.

ხშირად გაგვიგონია, უნიჭიერესი ადამიანის (არამარტო ფეხბურთში) მშობლები აცხადებდნენ, ჩვენი შვილი პატარაობისასაც გამორჩეული იყოო. მოკლედ, კოჭებში ეტყობოდა, მაგარი ვინმე რომ იქნებოდაო. ლუიშის დედ-მამას, მარია ჟოანას და ანტონიუ კაეირუს, მსგავსი არაფერი შეუნიშნავთ: „ისეთივე ბავშვი იყო, როგორც ყველა. მთელი დღეები ქუჩაში ბიჭებთან ერთად ბურთს თამაშობდა, ველოსიპედით სეირნობაც უყვარდა. რამდენჯერმე მისმა საქციელმა შეგვაშფოთა კიდეც, ვიფიქრეთ, შვილი ხულიგანი არ გამოვიდესო. მაგრამ სერიოზული არაფერი, უბრალოდ, ბავშვური უბოროტო ცელქობა აღმოჩნდა. სკოლაში საუკეთესო მოსწავლეებს შორის არ ყოფილა, მაგრამ ცუდი ნიშნები არ მიუღია. არა, ბოლო კლასებში სწავლაზე ხელი აიღო, თუმც იქამდე მართლა ნორმალურად სწავლობდა.“ გასაკვირიც იქნებოდა, ასე არ მომხდარიყო. მეთერთმეტე კლასელი ფიგუ „სპორტინგში“ ვარჯიშობდა და 16-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონიც გახლდათ. ქიმიის სახელმძღვანელოში თავჩარგული ევროპის ჩემპიონი კი ძნელი წარმოსადგენია.

ლუიშმა, მისი სრული სახელია ლუიშ ფილიპე მადეირა კაეირუ ფიგუ, ეზოს ფეხბურთიდან ბავშვთა გუნდ „პაშტილიაშში“ გადაინაცვლა, სადაც მას ერთადერთი რამ ასწავლეს, როგორ დაერტყა ბურთი სწორად. „პაშტილიაშმა“ მეტი ვერ შეძლო, ფიგუ მისთვის ზედმეტად ნიჭიერი ბავშვი აღმოჩნდა.

სად უნდა ითამაშოს ლისაბონელმა ბავშვმა ფეხბურთი, პროფესიონალი რომ გახდეს? არჩევანი ორია — „ბენფიკას“ ან „სპორტინგის“ საფეხბურთო სკოლები. ბენფიკას უბნელები ფიგუს რომ აღმერთებენ, მამამის ანტონიუ კაეირუს, თავიანთ დამღუპველად თვლიან. აბა, პატარა ლუიშის რა ბრალია, უფროსი ფიგუ „ სპორტინგის“ გულშემატკივარი რომ არის და შვილიც „სპორტინგში“ მიიყვანა. ლისაბონში მოხვედრილი „სარბიელის“ მესვეტისთვის მავან ბენფიკელ ოფიციანტს ისიც უთქვამს, ფიგუ ფეხბურთიდან ისე არ წავა, სიბერეში „ბენფიკაში“ არ ითამაშოსო. ჩვენ კი ფიგუს გაბენფიკელებამდე მისი სპორტინგელობა გავიხსენოთ.

დებიუტი 1990 წლის 1 აპრილს შედგა. ფიგუ იგონებს: „პირველი აპრილი დებიუტისთვის საუკეთესო დღე ალბათ არ არის. თუმცა ერთი სული მქონდა, მინდორზე როდის გავიდოდი. უზომოდ ბედნიერი ვიყავი, როცა მეორე ტაიმში მწვრთნელმა შეცვლაზე შემიყვანა“. იმ დღეს „სპორტინგმა“ „მარიტიმუს“ 1:0 მოუგო. მთლიანობაში კი ის სეზონი „სპორტინგისთვის“ და ფიგუსთვისაც არაფრით გამორჩა. კლუბმა ჩემპიონობა ვერ მოიპოვა, ხოლო ფიგუმ სასტარტო შემადგენლობაშისულ სამჯერ ითამაშა.

მერე კლუბში ბობი რობსონი მივიდა. ფიგუ მისი მადლიერია. რობსონმა გუნდში ახალი იდეები მიიტანა და თამაში ფიგუზე, ივჩიკოვიჩზე და კადეტზე აააწყო.

„სპორტინგში“ დებიუტს 1991 წელს სამი სხვაც მიჰყვა. 3 სექტემბერს ფიგუმ პორტუგალიის ახალგაზრდულ ნაკრებში პირველი მატჩი გამართა ავსტრიასთან. ორი კვირის მერე კი ევროტურნირსაც გაუსინჯა კბილი — უეფას თასზე „სპორტინგმა“ ბუქარესტის „დინამო“ 2:0 დაამარცხა. დაბოლოს, 19 ოქტომბერი — ლუიშ ფიგუ პორტუგალიის ეროვნული ნაკრების წევრი გახდა.

აღსანიშნავია, რომ ლუიშ ფიგუ იმ დროისთვის მხოლოდ პორტუგალიური მასშტაბის ვარსკვლავი იყო. დიდი ევროპული კლუბები მისით სამი წლის მერეღა დაინტერესდნენ, როცა ფიგუ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

მას თვალი „პარმამ“ და „იუვენტუსმა“ დაადგეს. იმ დროისთვის იტალიაში უკვე გადაბარგებულიყვნენ, ფიგუს ძველი მეგობრები — ფერნანდო კოუტუ, პაულუ სოუზა და რუი კოშტა. ფიგუ კი ფეხს ითრევდა. „სპორტინგს“ იმ შემთხვევაში დავტოვებ, თუ ფინანსური და პროფესიული თვალსაზრისით ისეთ პირობებს შემომთავაზებენ, რომელზეც უარს ვერ ვიტყვი. ამასთანავე ჩემი მომავალი კლუბი მხოლოდ ჩემპიონობაზე უნდა ფიქრობდეს“ — ეს სიტყვები ფიგუმ 1995 წლის დასაწყისში თქვა. ერთხელაც გავიმეოროთ, რომ იმ კაცის სიტყვებია, რომლითაც „იუვენტუსი“ და „პარმა“ დაინტერესდნენ.

ლისაბონში რაღაც შეიცვალა. მთელი ქალაქი ერთ თემაზე საუბრობდა — გაიგეთ, ფიგუ იტალიაში მიდის?! ადგილობრივ პრესასა და ტელევიზიაში ფეხბურთის სპეციალისტები დისკუსიებს მართავდნენ, როგორ შევინარჩუნოთ ბრილიანტი. ცეცხლზე ნავთი მავანთა გავრცელებულმა ჭორებმაც დაასხა, აქაოდა, ფიგუს იტალიაში წასვლა ფანდია, სინამდვილეში, „ბენფიკამ“ გადაიბირაო. „ბენფიკას“ და „სპორტინგის“ ურთიერთობის ამბავი კი მოგეხსენებათ... გულხელდაკრეფილნი არც „სპორტინგის“ ხელმძღვანელები იყვნენ. მათ კლუბის სალაროში არსებული ფული დათვალეს და ფიგუს საარაკო ხელფასს დაჰპირდნენ, თუმცა პორტუგალიური საზომით. არაფერმა გაჭრა, ფიგუმ 1995 წლის 31 ივლისს „სპორტინგთან“ კონტრაქტის ვადა ამოწურა და „პარმას“ მიაშურა.

აქ აუცილებელი განმარტება უნდა გავაკეთოთ. ლუიშ ფიგუს „სპორტინგის“ და „ბარსელონას“ გარდა არსად უთამაშია. მაშ, რა შუაშია „პარმა“? იტალიელებმა ფიგუ იყიდეს, რამდენიმე მილიონი წაუმატეს და ათიოდ დღეში „ბარსელონას“ გადაულოცეს.

„ბარსელონაში“ ათეულობით ლეგიონერს უთამაშია და ბევრს იქაურ გარემოსთან შეგუება გასჭირვებია. კატალონია — ესპანეთის მეტად თავისებური რეგიონია, თავისი ენით და ადათ-წესებით. ჰო, კიდევ განსაკუთრებით დაძაბული ურთიერთობით მადრიდთან.

ამ დროს კი „ბარსაში“ ორიოდე მატჩის ჩატარების მერე კატალონიური პრესა ასეთი სათაურით აჭრელდა: „ბარსელონას საყვარელი შვილი“, „კატალონიის ახალი პრინცი“, „ბრილიანტი ლურჯ-წითელ ბუდეში“. კატალონიელთა კერპები ბაკერო და გვარდიოლა ალბათ ვერც წარმოიდგენდნენ, რომ სულ მალე ახალბედაც მათ მსგავსად „ბარსელონას“ ერთგვარი სიმბოლო გახდებოდა. ივან დე ლა პენიამ კი იწინასწარმეტყველა: „აი, ნახავთ, ფიგუ უდიდესი ფეხბურთელი გახდება!“

ცოტაც და „ბარსელონაში“ ფიგუს ძველი ნაცნობებიც გადმოვიდნენ, მეკარე ვიტორ ბაია და მწვრთნელი ბობი რობსონი. სწორედ ბობი რობსონმა გააკეთა ის, რასაც ბევრი ვერ გაბედავდა. ჩემპიონატის ერთ-ერთ ტურში ტრავმირებული ბაკეროს ნაცვლად კაპიტანის სამკლავური ლუიშ ფიგუს ჩაბარა. მართლაც არნახული შემთხვევა იყო. ერთი იმიტომ, რომ ფიგუ უცხოელია და მეორეც — კლუბში სულ რაღაც წელიწად-ნახევრის წინ მისულიყო.

ფიგუს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი ხანა დაუდგა. საყოველთაო აღიარების გარდა მას ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც შეემთხვა. ცნობილი ესპანელი მოცეკავის ხოაკინ კორტეზის სპექტაკლზე მან მშვენიერი შვედი გოგონა, 22 წლის ელენ სვედინი გაიცნო, რომელიც ფოტომოდელია და ესპანეთშიც გადაღებებზე ჩასულიყო. ლუიში და ელენი მას მერე სამი წელია ერთად არიან და 14 თვის წინ შვილიც შეეძინათ — დანიელა.

მეტი რა უნდა ინატროს ადამიანმა? „ბარსელონა“, ეროვნული ნაკრები, ქომაგთაგან ფანატიკური სიყვარული, ელენა, დანიელა, თასები, საუკეთესოდ მიჩნეული გოლი ინგლისის ნაკრების კარში ევროპის ჩემპიონატზე... გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. ბოლოს კი დავუმატოთ, რომ ლუიშ ფიგუ ის კაცია, ვისმა სახელმაც „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო. ბარსელონელს „რეალშიც“ რომ აფასებენ, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

გიორგი დარჯანია


HELLO

ლუიში, ელენი და დანიელა

ლუიშ ფიგუ

პორტუგალია

დაიბადა: 1972 წლის 4 ნოემბერს ლისაბონში (პორტუგალია)
კლუბი: ბარსელონა (ესპანეთი)
პოზიცია: ნახევარმცველი
სიმაღლე: 180 სმ
წონა: 75 კგ
კარიერა: სპორტინგი (პორტუგალია) ბარსელონა (ესპანეთი)
პორტუგალიის ნაკრებში: 65 მატჩი, 15 გოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი 2008 პოლიტიკოსებს მოეწონათ

კოლოსკოვი ცენტრალური ბანკისა და დიდი ფინანსური სტრუქტურების მხარდაჭერას ელის

ვიაჩესლავ კოლოსკოვი

როგორც გაუწყეთ, რუსებმა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე პრეტენზია გამოთქვეს. იქაური ფეხბურთის მაღალჩინოსნები ირწმუნებიან, რომ ტურნირს მაღალ დონეზე ჩაატარებენ და ცდილობენ, დაარწმუნონ უეფა, მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღოს.

საკითხის საბოლოოდ მოგვარებამდე და მასპინძლის ვინაობის გარკვევამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. რუსეთის საფეხბურთო კავშირის ამ ინიციატივამ კი ქვეყნის პოლიტიკური წრეების მხარდაჭერა ჰპოვა.

გუბერნატორები ხელაღებით დაეთანხმნენ რუსეთი 2008-ის პროექტს. პრესის ცნობით, ინიციატივა ქვეყნის საბაჟო სამსახურსა და საგარეო საქმეთა სამინისტროშიც მოიწონეს.

„ცენტრალური ბანკისა და დიდი ფინანსური სტრუქტურების მხარდაჭერას ველით, ამ საკითხს, ალბათ აგვისტოს დასაწყისისთვის მოვაგვარებთ“ — განუცხადა პრესას რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა.

ცენტრალურ ბანკთან რა არის მოსაგვარებელი? — ჰკითხეს მას.

„ვალუტის კონვერტაციის, მსხვილი საფინანსო და სავალუტო სისტემის გარეშე დღეს რაიმე საქმის წარმოება და განხორციელება წარმოუდგენელია — დასძინა კოლოსკოვმა — რუსეთის ფედერალურ მთავრობასაც შევეხმიანეთ, რამდენიმე შეტყობინება გავუგზავნეთ, თუმცა მათგან საბოლოო პასუხს მხოლოდ მას შემდეგ შევიტყობთ, როცა საქმეს ბანკირებთან მოვაგვარებთ“.

მთავრობისგან დახმარებას თუ ელითო, დაინტერესდნენ ჟურნალისტები. „არა, ისინი არავითარ ხარჯებს არ გასწევენ, პროექტის დაფინანსება მხოლოდ რეგიონების კისრზეა“ — ასეთი გახლდათ კოლოსკოვის პასუხი.

შეგახსენებთ, რომ უეფა ევრო 2008-ის მასპინძელს 2003 წელს დასახელებს.

მარსელო სალასი

კასილიასი საუკეთესო ევროპელია

მადრიდის „რეალის“ 19 წლის მეკარე იკერ კასილიასი თავისი ასაკის მიუხედავად უკვე იმდენი ტიტულის მფლობელია, ბევრს მთელი კარიერის მანძილზე რომ არ ღირსებია. მსოფლიოს ჩემპიონი მოზარდებს შორის და ჩემპიონთა თასის მფლობელი კასილიასი ახლა ევროპაში წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად (23 წლამდე) აღიარეს.

ძნელია, არ დაეთანხმო ამ გადაწყვეტილებას. გვახსოვს, როგორი ბურთები მოიგერია მადრიდელმა მეკარემ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩში. ლიგაში ბრწყინვალე თამაშს კი ესპანეთის ნაკრებში მიწვევა მოჰყვა.

ჯილდოს მიღებისას იკერ კასილიასმა უპირველესად ვისენტე დელ ბოსკეს დამსახურება აღნიშნა: „ყველაფერს მისი წყალობით მივაღწიე. ის მენდო და შანსი მომცა. ხოლო როცა მსოფლიოს საუკეთესო კლუბის კარს იცავ, ძალაუნებურად ყველას ყურადღებას იპყრობ და აღიარებაც მალევე მოდის“.

აღსანიშნავია, რომ იკერ კასილიასი მესამე ესპანელია, ვინც ოდესმე ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად უღიარებიათ. მანამდე ეს პატივი ემილიო ბუტრაგენიოს და ხოსეპ გვარდიოლას ერგოთ.



მატადორის ხელში ჩასაგდებად

იტალიური „გაძეტა დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, მილანის „ინტერი“ მზადაა „ლაციოსგან“ ჩილელი თავდამსხმელი მარსელო სალასი იყიდოს. მილანელთა პრეზიდენტი მასიმო მორატი და მწვრთნელი მარჩელო ლიპი მოწადინებული არიან სალასისა და კრისტიან ვიერის წყვილის აღსადგენად. მოგეხსენებათ, ეს ორი ფორვარდი 1998-99 წლების სეზონში „ლაციოს“ შემადგენლობაში ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

საკუთრივ სალასმაც დიდი ინიციატივა გამოიჩინა, განაცხადა, რომ „ინტერში“ გადასვლა მისთვის ხელსაყრელი ვარიანტია, თუმცა საქმეს „პარმას“ ჩარევა ართულებს. საბოლოო გადაწყვეტილებამდე „ლაციოსა“ და „პარმას“ პრეზიდენტების, კრანიოტისა და ტანცის შეხვედრა უნდა გაიმართოს. საქმე ის გახლავთ, რომ პარმელთა მწვრთნელი ალბერტო მალესანი სალასის შეძენით ძალიან დაინტერესებულია და სწამს, რომ სწორედ ჩილელი „მატადორია“ ის კაცი, რომელიც მის გუნდს სრულყოფილს გახდის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სიდნეი 2000

გოგა ხაინდრავა:

გამოსავალი მოსახლეობაში უნდა ვეძიოთ და არა ჩვენს ბედოვლათ მთავრობაში

რას უნდა ველოდოთ სიდნეის ოლიმპიური თამაშებიდან? როგორი იქნება ჩვენი ხვედრი? მეტნაყლებად წარმატებული გამოსვლა თუ ისევ სირცხვილი და თავის მოჭრა? რაც უფრო ახლოვდება ოლიმპიადა, ეს ფიქრები მით უფრო გვაწუხებს. სწორედ ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე იმსჯელეს ამას წინათ სეოკ-ის მიერ მოწყობილ საგანგებო პრესკონფერენციაზე, რაზეც „სარბიელი“ დროულად და ვრცლად იუწყებოდა. იმ პრესკონფერენციას სპორტული სფეროს წარმომადგენელთა გარდა სხვებიც ესწრებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ბატონი გოგა ხაინდრავა.

— სიმართლე გითხრათ, ასეთ სასოწარკვეთილ და გაუბედურებულ დღეში ჩავარდნილი ქართული სპორტი ჯერ არ მინახავს — გვეუბნება გოგა ხაინდრავა — „გრანდკლუბის“ დარბაზში სეოკ-ის პრესკონფერენციაზე შეკრებილ ამდენ ოლიმპიურ ჩემპიონსა თუ სპორტის მოხელეს რომ ვუყურებდი და ვუსმენდი, თუ როგორ იხვეწებოდნენ ელემენტარული პირობების შექმნაზე და საოლიმპიადოდ მოსამზადებელი მცირეოდენი თანხის გამოყოფაზე, გული მიკვდებოდა. სპორტში დილეტანტი არ გახლავართ და მჯერა, რომ ჩვენი მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია — საჭიროა ერთად დგომა, გამოსავალს კი ახლა ხალხში ვხედავ. საქართველოში სპორტი ძალიან ბევრს უყვარს და დარწმუნებული ვარ, რომ მის გადასარჩენად ერთი ლარი იქნება თუ ორი, ყველა გაიღებს. აქ, ბუნებრივია, მეწარმეებისა და ბიზნესმენების დახმარებასაც ვგულისხმობ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ამოცანის გადაწყვეტის გასაღები სწორედ მოსახლეობაში უნდა ვეძებოთ და არა ჩვენს ბედოვლათ მთავრობაში, რომელსაც საკუთარი კეთილდღეობის გარდა სხვა არაფერი აინტერესებს.

— ბატონო გოგა, ფიქრობთ თუ არა, რომ ახლახან დასრულებული საკმაოდ წარმომადგენლობითი პრესკონფერენციის შემდეგ ქართულ სპორტში რაიმე სასიკეთოდ შეიცვლება?

— რა თქმა უნდა. ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან დიდი იმედები მაქვს და მჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს ყინულიც დაიძვრება, ამისი თქმის საბაბს კი პრესკონფერენციაზე მოსული ქართული სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენლები მაძლევენ. ისინი უეჭველად ჩვენი სპორტის სიამაყენი არიან. დარწმუნებული ვარ, რომ მათ გულისტკივილს უთუოდ გაითვალისწინებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში გადავშენდებით და ეგაა. აქედან გამომდინარე, ჩემის აზრით, ნელ-ნელა ყველაფერი კალაპოტში ჩადგება, ოღონდ ამ მხრივ ერთჯერადი კი არა, მიზანმიმართული სამუშაოები უნდა წარიმართოს.

— ამას წინათ ახალმა ფინანსთა მინისტრმა განაცხადა...

— რომ ფული არ გვაქვს და სიდნეიში არ წავიდეთო, არა? ამის თქმა კი არა, უბრალოდ გაფიქრებაც კი არ შეიძლება. გუნდმა რომ ოლიმპიურ თამაშებში გამგზავრებაზე უარი თქვას, ეს ხომ საერთაშორისო სკანდალს გამოიწვევს. ოლიმპიურ თამაშებში ტობაგო და გვატემალა უნდა მონაწილეობდეს და საქართველოს მსგავსი მდიდარი სპორტული ტრადიციების მქონე ქვეყანა არა? ამიტომაც, ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა რა თქვა, მე ნაკლებად მაინტერესებს. ზურაბს საკმაოდ კარგად ვიცნობ და არა მგონია, რომ მას არ ესმოდეს, თუ რას ნიშნავს ქვეყანაში ოლიმპიური მოძრაობა. თუ ამაში გათვითცნობიერებული არ არის, ძალიან სამწუხაროა.

— თქვენი ვარაუდით სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე როგორ იასპარეზებენ ქართველი სპორტსმენები?

— სამწუხაროდ, დღეს არსებული უმძიმესი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო არა მგონია ქართველმა სპორტსმენებმა სიდნეიში რაიმე ხელშესახებ წარმატებას მიაღწიონ, თუმცა ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე. მეორეს მხრივ უდიდესი სულიერი წარმატება იქნება ის ფაქტი, რომ ჩვენ მსოფლიოს სპორტულ ფორუმში გამოვალთ. ჩემი აზრით, მწვანე კონტინენტზე მთავარია მონაწილეობა და არა შედეგის პრინციპით ასპარეზობა.

ქახა ბერიძე

დარჩა 57 დღე

ოლიმპიურ ჩემპიონთა ფიქრები

ორი შეკითხვა ჩემპიონებს

1. ქართული სპორტი და ოლიმპიზმი კრიზისშია, რაში ხედავთ გამოსავალს?

2. როგორია თქვენი პროგნოზი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში ქართველ სპორტსმენთა შედეგებზე?

ქეთევან ლოსაბერიძე

1. ასეთ საცოდავ დღეში ჩავარდნილ ქართულ სპორტს რომ ვუყურებ, მწუხარებისგან ლამის გული გამისკდეს. რა თქმა უნდა, ყველა სპორტის გულშემატკივარს გული შესტკივა შექმნილი ვითარების გამო, მაგრამ დამეთანხმებით ალბათ, რომ სპორტსმენის, თუნდაც ყოფილის, განცდები მაინც სხვაა. დღევანდელ ყოფაში ქართველ ათლეტებს ჩემზე უკეთ ალბათ ვერავინ გაუგებს. ხსნას მე ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევაში ვხედავ. აუცილებლად მიმაჩნია შეიცვალოს სპორტისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა, წინაღმდეგ შემთხვევაში არაფერი გამოვა.

ბოლო პერიოდში ბიზნესმენთა დახმარების თაობაზეც ბევრს ლაპარაკობენ. რა თქმა უნდა, თუ ადვილობრივი მეწარმე ან ბიზნესმენი სპორტის საკეთილდღეოდ ფულს არ დაიშურებს, მისასალმებელია, მაგრამ მთელი ტვირთის მათ ზურგზე აკიდებით პრობლემა ვერ მოგვარდება. ბიზნესმენებმა შესაძლოა ერთ ან ორ სპორტის სახეობას მიხედონ, საერთო ჯამში კი ამ სფეროს ისევ მთავრობამ უნდა უპატრონოს.

2. წინასწარ რაიმეს თქმა გამიჭირდება. სპორტი ხომ მოულოდნელობებით არის აღსავსე. ვფიქრობ, რომ ქართულმა გენმა მაინც თავისი უნდა გაიტანოს. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ფეხბურთში ხორვატთა შემართება ჩვენთვის მისაბაძ მაგალითად უნდა იქცეს.

სამწუხაროდ, ჩემს სახეობაზე — მშვილდოსნობაზე, ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან ხათუნა ქვრივიშვილი ამერიკაშია და მის შესახებ არაფერი ვიცი. ძალიან დიდი იმედი მაქვს ნინო სალუქვაძისა და მოჭიდაველების. თავი შეიძლება სხვებმაც გამოიჩინონ.

გალინა შარაბიძე:

1. საერთოდ სპორტულ ცხოვრებას დიდი ხანია აღარ ვეწევი, მაგრამ სპორტში არსებულ უმძიმეს ვითარებას ბრმაც ხედავს. გულის მაგიერ ქვა უნდა გედოს, არ გადარდებდეს დღეს სპორტში შექმნილი უმძიმესი ვითარება. იმისთვის, რომ წელში გავიმართოთ, უპირველესად მთავრობის ხელშეწყობაა საჭირო. სპორტსმენს ლუკმა-პურის შოვნაზე ფიქრი არ უნდა ადარდებდეს და საზღვარგარეთ გაქცევაზე არ უნდა ფიქრობდეს. მხოლოდ ასე დავიბრუნებთ ძველ დიდებას.

2. მართალი გითხრათ, სრულ ინფორმაციას სიდნეიში მონაწილე ქართველ სპორტსმენთა შესახებ არ ვფლობ. ამიტომაც პროგნოზები გამიჭირდება. ყოველ შემთხვევაში, ჩემს სახეობაში, ტაეკვონდოში, მედალი არ გვექნება. აი, ბატუტისტ რუსუდან ხოფერიასი კი ნამდვილად მეიმედება. ვფიქრობ, იმედები არც მოჭიდაველებმა უნდა გაგვიცრუონ.

შოთა ხაბარელი:

1. ძალიან გაჭირვებაში ვართ. ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ სპორტი მაღალ ეშელონებში არავის აინტერესებს. პირველ რიგში სწორედ მთავრობის დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს სპორტისადმი, ეკონომიკური მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს და მერე შეიძლება რამე გვეშველოს. აქ მეორე მხარეც არის. ერთია მატერიალური მხარდაჭერა და მეორე მორალური. ისე ვამთავრებთ ოლიმპიურ ციკლს, რომ მთავრობიდან კაცაშვილი არ მოსულა და არ დაინტერესებულა, თუ როგორ ვემზადებითარა გვიჭირს და რა გვილხინს, ყოველივე ეს კი ძალზედ გულსატკენია.

2. პროგნოზები არასოდეს მყვარებია, თანაც ოლიმპიურ თამაშებზე წინასწარი ვარაუდები გაუმართლებლად მიმაჩნია. და მაინც, საერთო ჯამში, ვფიქრობ, რომ ურიგო გუნდი არა გვყავს და საქართველოც ალბათ თავს არ შეირცხვენს.

ქახა ბერიძე

პოდიუმზე სასიდნეო ჩაცმულობით



ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის აღლუმზე ლათინურმა ანბანმა საქართველოსა და გერმანიის წარმომადგენლებს ერთმანეთის მიყოლებით გამოსვლა არგუნა. ასე იქნება სიდნეიშიც, სადაც ტრადიციისამებრ ბოლოს მასპინძლები გამოვლენ. ავსტრალიელებს ამ ილუსტრაციებზეც ბოლოს მივუჩინეთ ადგილი. პირველ სურათზე კი აღბეჭდილია გერმანელი სიმაღლეზე მხტომელი ჰეიკ ჰენკელი, რომელსაც ფირმა „ნიკო მოჩებანის“ ნახელავ შლიაპას აზომებენ კოლონში გამართულ სააღლუმო სამოსის პრეზენტაციაზე; მეორე ილუსტრაციაზე აღბეჭდილი სამოსი პარიზული ფირმა „პიერ ბალმენის“ თერძებმა დაამზადეს ქართველი ოლიმპიელებისთვის; მესამე ფოტოზე ხედავთ პოდიუმზე ასულ ავსტრალიელ სპორტსმენებსა და მოდელიორებს. ისინი გვიჩვენებენ „ნაიკის“ იმ ნახელავს, რომლითაც მათი ათლეტები სიდნეიში იასპარეზებენ. ამ ფოტოზე ავსტრალიელთა ფორმის მხოლოდ ნაწილია დემონსტრირებული, რადგან მათთვის 25 დასახელების სამოსი შეუკერავთ.

ისინი იასპარეზებენ სიდნეიში

გიორგი გუგავა

(ძიუდო 90 კგ)

დაიბადა 1978 წლის 10 ნოემბერს თბილისში. სპორტში მეცადინეობა გურამ გუგავას მეთვალყურეობით დაიწყო 1988 წელს.

არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. 1997 წლის ევროპის პირველობაში გამარჯვებული ახალგაზრდებს შორის; 1997 წლის ავსტრიის „ა“ კატეგორიის ტურნირის II პრიზიორი; 1998 წლის პარიზის „ა“ კატეგორიის ტურნირის ჩემპიონი, გერმანიისა და ავსტრიის ტურნირების პრიზიორი. 2000 წლის იტალიის ანალოგიური ტურნირის III პრიზიორი და პოლონეთის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული. უცოლო.

სამი შეკითხვა ლიცენზიანტებს

1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?

2. გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან.

3. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილის დაკავებას ვარაუდობთ?

1. ბავშვობაში ძიუდოისტობაზე არც მიფიქრია. მაშინ სპორტი, როგორც ყველა თანატოლს, მეც მიყვარდა, მაგრამ ძიუდო განსაკუთრებულად არ მიტაცებდა. 10-11 წლისა ვიქნებოდი, როდესაც მშობლებმა ბიძაჩემის გურამ გუგავას რჩევით ძიუდოზე მიმიყვანეს. ვერ გეტყვით, აღფრთოვანებული დავრჩი-მეთქი, მაგრამ მერე შემიყვარდა და დროთა განმავლობაში ალღოც ავუღე სპორტის ამ სახეობას. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გურამ გუგავას უდიდესი დამსახურებაა.

2. რაიმე კონკრეტული შემთხვევა არ მახსენდება.

3. უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სახელით ვიასპარეზებ. როგორც ყველა სპორტსმენისთვის, ეს ჩემთვისაც დიდი პატივია.

რაც შეეხება შედეგს, წინასწარ ვერაფერს დაგპირდებით, გარდა ერთისა — გიორგი გუგავა უბრძოლველად არაფერს დათმობს, მაქსიმუმს გაიღებს და შეეცდება გულშემატკივრები გაახაროს. თუ ოქრო იქნა, მაგას რა აჯობებს, მაგრამ მე ნებისმიერი სინჯის შედალზეც ყაბულსა ვარ.

ქართველები ოლიმპიურ თამაშებზე

ბარსელონა
XXV თამაშები. 1992 წ.

დავით ხახალეიშვილი (ძიუდო) — I

კახი კახიაშვილი (ძალოსნობა) — I

ლერი ხაბელოვი (თავ. ჭიდაობა) — I

გიორგი კოღუაშვილი (ბ-რ ჭიდაობა) — III

ლეილა მესხი (ჩოგბურთი) — III

რამაზ ფალიანი (კრივი) — III

ხათუნა ქვრივიშვილი (მშვილდოსნობა) — III

ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) — V და X

გურამ ბიგანიშვილი (აფროსნობა) — XIII

გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა) — XVI

ოლეგ სტრიჟაკოვი (მძლეოსნობა) — ფინალში ვერ გავიდა.

სულ ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან მონაწილეობდა 12 ქართველი სპორტსმენი, რომლებმაც მოიპოვეს 3 ოქროს და 5 ბრინჯაოს მედალი



დავით ხახალეიშვილმა ეს-ესაა, ქართველ სპორტსმენთაგან პირველმა მოიპოვა ჩემპიონობა

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურმა

მატარებელი უმუხრუჭოდ მიჰქრის

ხმაური გრძელდება, ქისა კი ისევ ცარიელია

საქართველოს ოლიმპიელთა სასიდნეო სამზადისის ფინანსური უზრუნველყოფის თაობაზე ატეხილი ხმაური გრძელდება. ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ჩვენი ოლიმპიელებისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიმართვები თუ განცხადებები საზოგადოებისადმი, ბიზნესმენებისადმი, კომერციული სტრუქტურების ხელმძღვანელებისადმი... ჩატარდა პრესკონფერენციაც, მაგრამ რა შედეგები მოჰყვა ყოველივე ამას? ამ კითხვამ მიგვიყვანა სეოკ-ის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილთან, რომელსაც ინტერვიუ ვთხოვეთ.



— პრესკონფერენციაზე „ყაზბეგი-კასტელის“ პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ და საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის („ბორჯომი“) პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ მოუწოდეს ქართველ ბიზნესმენებს, რათა მათი კოლეგები ერთად დადგნენ იმ საქმეში, რომელსაც ოლიმპიელთა მოსამზადებლად სახსრების მოზიდვა ჰქვია. ისიც თქვეს, პირველი მაგალითის მომცემნი ჩვენ ვიქნებითო.

— ბ-ნ მამუკას და გოგის ინიციატივა სულ რაღაც ერთი კვირაა, რაც ფართო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი. ისინი თავიანთი საქმიანობით მრავალი წელია, რაც ეხმარებიან ოლიმპიურ მოძრაობას და საერთოდ ქართულ სპორტს. მკითხველებმა ერთმანეთში არ უნდა აურიოს ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე დებულებები, რომლებსაც ხელი მოეწერა ამ მოძრაობის დაწყებამდე. საუბარია ერთის მხრივ ეოკ-სა და „ყაზბეგი-კასტელს“ და მეორეს მხრივ ეოკ-სა და „ბორჯომს“ შორის დადებულ ხელშეკრულებებზე. ეს ხელშეკრულებები ითვალისწინებენ ოლიმპიური პროგრამების დაფინანსებაში მონაწილეობას და არა მარტო მასში, რადგან ვერც ერთი და ვერც მეორე კომპანია ვერ გაწვდება ოლიმპიურ თამაშებში სათანადო დონეზე სპორტსმენთა გამოსვლას. ცხადია, ჩვენ მივიღეთ თანხის ნაწილი და, ალბათ, მომავალშიც მივიღებთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ოლიმპიურ თამაშებს მოხმარდება ეს თანხა, რადგან გვაქვს სხვა პროგრამებიც, რომლებიც ითვალისწინებენ ვეტერან სპორტსმენთა თუ ახალგაზრდების დახმარებასაც და სხვა მრავალს.

ხელშეკრულება, რომელსაც ამ იდეის განხორციელებამდე მოეწერა ხელი ჩვენსა და „ბორჯომსა“ და „ყაზბეგი-კასტელს“ შორის, სხვა პროგრამაა. ორივე კომპანიის ხელმძღვანელებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ოლიმპიურ მოძრაობას მომავალშიც აღმოუჩინონ დახმარება. რაც შეეხება სასიდნეოდ მოსამზადებელი სახსრების მოსაზიდად იდეის განხორციელებას, მოგეხსენებათ, რომ ჩვენში ბევრი კარგი იდეა დაბადებულა, მაგრამ მთი უმეტესობა განუხორციელებელი დარჩენილა. არ მინდა იგივე განმეორდეს. თვითონ იდეის ხორცშესხმის მექანიზმი ძალზე რთულია, თანაც დროც ცოტა რჩება. ყოველ შემთხვევაში, ამ ერთ კვირაში შევძელით, რომ დაკავშირებოდით 60-მდე კომერციულ ფირმას, ბანკს, სტრუქტურას, ბიზნესმენს. მათ მივაწოდეთ დაწვრილებითი ინფორმაცია. თან დავურთეთ ყველანაირი მასალა, ვაჩვენეთ ჩვენი საბანკო ანგარიში და ვთხოვეთ, რომ ასეთი სიტუაციაში მყოფთ დახმარების ხელი გამოეწვდინათ.

ამის შედეგად რეალური ძვრებიც იგრძნობა. მაგალითად, გამოგვეხმაურნენ „კოკა-კოლას“ პრეზიდენტი თემურ ჭყონია და „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორი, რომლებსაც უახლოეს დღეებში შევხვდებით.

იმედია, ამ მოძრაობას მოჰყვება რეალური და კონკრეტული დახმარებები, რომელსაც სიმბოლურად შეიძლება ვუწოდოთ „ქართული ბიზნესი — ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობას.“

რაც შეეხება თანხის ოდენობას, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენს ანგარიშზე გადმორიცხული არც ერთი თეთრი არ არსებობს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხმაურის დაწყებიდან ჯერ ერთი კვირაა გასული. ვიმედოვნებ, თვის ბოლომდე გარკვეული პროგრესი გვექნება, როდესაც გაცხადდება იმ სტრუქტურებისა და პიროვნებების სია, რომლებიც გამოხატავენ დახმარების მზადყოფნას.

ამასთან, მინდა ყველამ იცოდეს, რომ ბანკში გაიხსნა სპეციალური ანგარიში გრიფით „ოლიმპიური თამაშები“, სადაც ჩარიცხული ყოველი თეთრი გამომზეურდება პრესაში. ეს შესაძლებელს გახდის თვალი ვადევნოთ იმას, თუ რაზე დაიხარჯა თანხა. ერთი სიტყვით, სრული გამჭვირვალობა იქნება. ყველა ის სტრუქტურა, რომელიც ნებისმიერი ფორმით გამოხატავს დახმარებას ოლიმპიური გუნდისთვის, ჩვენგან მიიღებს მოკრძალებულ, მაგრამ მაინც სასიამოვნო საჩუქარს — ლამაზად გაფორმებულ მადლობის ფურცლებს, რომლებზეც გამოსახული იქნება ოლიმპიელთა სურათები, მათივე ხელმოწერებით. ასევე ეფიქრობთ დავამზადოთ სხვადასხვა ხარისხის დიპლომები იმის შესაბამისად თუ როგორ შეეხიდება ქართულ ოლიმპიურ მოძრაობას. ლაპარაკია საზღვარგარეთ ფართოდ დანერგილ „ოქროს“, „ვერცხლის“, „ბრინჯაოს“ სპონსორთა ინსტიტუტზე.

— ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიელთა მიმართვებს თუ გამოეხმაურა საზოგადოება?

— ამასთან დაკავშირებით შევხვდით საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ პიროვნებებს: გოგა ხაინდრავას, დათო ტურაშვილსა და ვია ნაცვლიშვილს, რომლებიც გამოგვეხმაურნენ და გამოთქვეს სურვილი აქტიურად ჩაებან ოლიმპიური გუნდისთვის სახსრების მოსაზიდად დაწყებულ მოძრაობაში, რაც ითვალისწინებს ამ საქმეში მოქალაქეების მასობრივ ჩაბმას. ეს ყველაფერი, ალბათ, განხორციელდება პრესის, რადიოსა და ტელევიზიის დახმარებით.

ჩვენის მხრივ მზად ვართ გავაკეთოთ ყველაფერი, რათა მოსახლეობა მხარში ამოგვიდგეს ქართული სპორტის გადასარჩენად. ჩვენი სურვილია, რომ ეს სახალხო მოძრაობად გადაიქცეს და შეძლებისდაგვარად მასში მონაწილეობა მიიღოს ყველა ასაკის ადამიანმა, სოციალური ფენის ყველა წარმომადგენელმა, რადგან ერთად დარაზმულებს შეგვწევს უნარი მდგომარეობის გასუფთავებისა.

— რაკი ბიუჯეტი შავ დღეშია, საქართველოს პრეზიდენტი ოლიმპიელებს საკუთარი ფონდიდან დახმარებას დაპირდა ჯერ კიდევ გაზაფხულზე. ამ მხრივ როგორაა საქმე?

— სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ბოლო პერიოდში გარკვეული ძვრები იგრძნობა.

— მაშინ, პრესკონფერენციაზე ძიუდოისტთა უფროსმა მწვრთნელმა განაცხადა, ბაკურიანში შეკრებაზე მივდივართ, მაგრამ მხოლოდ სამი დღის სამყოფი ფული გვაქვს. დაგვპირდნენ, დანარჩენს გზაში დაგაწევთო. იქვე ეჭვი გამოთქვა, ან დაგვაწევენ, ან არაო. ახლა როგორ არის მათი საქმე, უკან მობრუნება ხომ არ მოუხდათ?

— ბაკურიანში მათი წასვლა შესაძლებელი გახდა, როგორც იტყვიან, „პოსლეზე“. ძიუდოისტებს ბაკურიანში ახლახან ჩავუტანეთ სპორტის დეპარტამენტიდან გამოყოფილი ის თანხა, რომელიც მათ არ ყოფნიდათ.

რაც შეეხებათ სპორტსმენებს, ისინი კმაყოფილნი არიან სავარჯიშო პირობებით. განწყობაც კარგი აქვთ. ერთადერთი, რაც მათ სჭირდებათ, ეს არის მოფერება, პატარა ხელის შეწყობა, ყურადღება.

ახლა მთავარია რაც შეიძლება ნაკლები ნერვებისა და გაღიზიანების გარეშე ისინი ოლიმპიადამდე მივიყვანოთ. ეს ყველა სახეობათა წარმომადგენლებს ეხებათ. ამისთვის საჭიროა ის მინიმალური თანხები, რომელიც მათ სავარჯიშო პირობებს შეუქმნის. უსახსროების გამო პრობლემები აქვთ ნინო სალუქვაძეს, რუსუდან ხოფერიას და კიდევ ბევრ სხვა ოლიმპიელს. ვიმეორებ, ჩვენ მოვითხოვთ იმ მინიმუმს, რომელიც მათი კვებისთვის, დაბინავებისთვის და დასვენებისთვისაა საჭირო.

გარდა ამისა, სიდნეიში გამგზავრებამდე გვინდა, რომ ჩვენი სპორტსმენებისადმი დაგროვილი დავალიანებები გავისტუმროთ. ვგულისხმობ ევროპის ჩემპიონობისთვის დაწესებულ პრემიებისა და ხელფასების გაცემას, რათა შემდგომ წუწუნისა და ნერვების მოშლის საბაბი არ ჰქონდეთ. ეს ყველაფერი ხომ მათ ფსიქიკაზე მოქმედებს, უფუჭებს გუნება-განწყობილებას.

ასევე მინდა ვთქვა, რომ გული მწყდება იმ აკრედიტებულ ჟურნალისტებზეც, რომლებიც შესაძლოა უსახსროების გამო ოლიმპიურ თამაშებს მიღმა დარჩნენ. ამ მხრივ მართლაც კატასტროფულადაა საქმე. მათ გასამგზავრებლად საჭირო თანხები არა აქვთ პრესას თუ ტელევიზიას. ჟურნალისტები კი ბიზნესმენები არ არიან, რომ თავად დაიფინანსონ თავი.

***

როგორც ხედავთ ფინანსური პრობლემები ისევ რჩება. მათ მოსაგვარებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგმულა, მაგრამ ქართველ ოლიმპიელთა ქისა ისევ ცარიელია, დრო კი არ ითმენს. ახლა ყოველი დღე და საათიც ძვირფასია, მითუმეტეს, რომ ოლიმპიელთა მატარებელი უმუხრუჭოდ მიჰქრის.

გიგა გურასაშვილი

ვლადიმერ ბოისა

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ფორვარდი ვლადიმერ ბოისა ორი წელია, სლოვენიაში თამაშობს. იგი ლიუბლიანის „ოლიმპიას“ საკუთრებაა, თუმც დღემდე ოფიციალურ მატჩში ერთხელაც არ დაუცავს სლოვენიის ყველა ზე ტიტულოვანი გუნდის ღირსება. პირველ წელს „ოლიმპიამ“ „პოსტოინაში“ გაანათხოვრა ვოვა, მომდევნო სეზონში კი ქართველების მოყვარულ „სლოვანს“ დაუთმო.

რაკი ჩვენებურს ოფიციალური კონტრაქტი „ოლიმპიასთან“ აკავშირებს, ბუნებრივია, ეს კლუბი შეეცდება მაქსიმალური სარგებელი ნახოს ბოისასგან. ამიტომ სეზონი რომ დამთავრდა, „ოლიმპიას“ მთავარმა მწვრთნელმა, ზმაგო საგადინმა ვოვა თავისთან მიიხმო, კიდევ კარგა ხანს ათვალიერა და სამშობლოშიც მერეღა გამოუშვა დასასვენებლად.

ყოველივე ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ინტერვიუდან შეიტყობთ:

ვლადიმერ ბოისა ოლიმპიას გაუშინაურდა

— „სლოვანისთვის“ უკვე დამთავრებული იყო სეზონი, როცა საქართველოს ნაკრების შეკრებაზე გამომიძახეს. ზმაგო საგადინმა გამომგზავრებამდე გამაფრთხილა, რომ სლოვენიაში დავბრუნებულიყავი, რათა „ოლიმპიასთან“ ერთად მევარჯიშა. მეც ზუსტად ისე მოვიქეცი, როგორც მწვრთნელმა მითხრა.

— „ოლიმპიას“ სეზონის დამთავრების შემდეგაც არ შეუწყვეტია ვარჯიში?

— ვინც უკვე დამკვიდრებულია გუნდში, მათთვის ვარჯიშებზე სიარული ნებაყოფლობითი იყო, ხან მოდიოდნენ, ხან — არა. საგადინი დანარჩენებს ვკაკვირდებოდა, ბევრი ახალწვეული იყო, ზოგიც ჩემნაირათ სხვა კლუბში განათხოვრებული. „ოლიმპია“ ჯერ კიდევ დასაკომპლექტებელია და მწვრთნელი მოთამაშეებს არჩევს.

— დაახლოებით რამდენი კაცი დადიოდით ვარჯიშებზე?

— თავიდან თხუთმეტნი ვიყავით, უმრავლესობა სლოვენიის ახალგაზრდული ნაკრების წევრები იყვნენ, რომლებიც მოგვიანებით გამოგვაკლდნენ. ევროპის ჩემპიონატი ახლოვდებოდა ოცწლამდელთა შორის და ამ ბიჭებს შეკრებაზე დაუძახეს. ბოლო ვარჯიშებზე ექვსნიღა დავდიოდით.

— საწვრთნელ პროცესში ძირითადად რაზე ამახვილებდა საგადინი ყურადღებას?

— რაიმე განსაკუთრებული იყო-მეთქი, ვერ ვიტყვი. მხოლოდ დარბაზში ვვარჯიშობდით ინდივიდუალურად, მწვრთნელი არ გვტვირთავდა, უმეტესად ორმხრივ თამაშში გვცდიდა.

— თავი ხომ არ შეგირცხვენიათ?

— სიმართლე გითხრათ, თავიდან ძალიან გამიჭირდა, რატომღაც მალე ვიღლებოდი და მიზეზს ვერ ვხვდებოდი. რა მჭირს-მეთქი, საკუთარ თავს ვეკითხებოდი. კარგად რომ დავფიქრდი, მერე აღარც მიკვირდა, სულ სხვა კლასისა და დონის კალათბურთელებთან მომიწია თამაშმა, „ოლიმპიაში“ ერთიორად კვალიფიციური მოთამაშეები დამხვდნენ და მათთვის წინააღმდეგობის გაწევა, ბუნებრივია, ჩემგან გაცილებით დიდ ენერგიას მოითხოვდა. ვფიქრობ, ასე თუ ისე, თავი მოვაწონე საგადინს, მაგრამ სანამ ყოველივეს ალღო ავუღე, დრო დამჭირდა.

— პირადად არ გისაუბრიათ მწვრთნელთან? როგორ ატყობთ, დაგიტოვებთ „ოლიმპიაში“?

— დამიტოვებს თუ არა, ამაზე გადაჭრით არაფერი უთქვამს, არ ვიცი. ისე კი საქართველოში გამომგზავრებამდე პირისპირ ვისაუბრეთ.

— რა საკითხზე?

— მითხრა, შენი თამაში ჩემს ყურადღებას იქცევს და მინდა, „ოლიმპიას“ ძირითადში ადგილი დაიმკვიდროო. იქვე ისიც მიმანიშნა, ეგ ბევრი არაფერი, უნდა დამიმტკიცო, რომ „ოლიმპიაში“ თამაშის ღირსი ხარო. ერთი სიტყვით, სულ ამგვარ რამეებზე მესაუბრა, გიჟივით უნდა ივარჯიშოო, კონკურენციას არ უნდა შეუშინდეო.

— თქვენს პოზიციაზე ბევრნი ხართ?

— ყველაზე ბევრნი სწორედ ჩემი ამპლუის მოთამაშეები, ფორვარდები ვართ და კონკურენციაც ძალიან დიდია. მართალია, მილიჩი მადრიდის „რეალმა“ იყიდა, მაგრამ გოლემაცი გუნდში დარჩა, ძალიან გამოცდილი კალათბურთელია. სულ ახლახან „ოლიმპიამ“ ორი ძალიან ძლიერი ფორვარდია შეიძინა, კაუნასის „უალგირისიდან“ — მინდაუგას ჟუკაუსკასი და ბოლო სეზონში პოლონეთში მოთამაშე იუგოსლავიელი არსიჩი. ჩემი ამპლუის ახალგაზრდა კალათბურთელებზე აღარაფერს ვამბობ.

— ჟუკაუსკასის და არსიჩის წინააღმდეგ მოგიწია თამაში ვარჯიშზე?

— ჟუკაუსკასს „ოლიმპიაში“ საერთოდ არ უვარჯიშია, სლოვენიაში ერთი დღით ჩამოვიდა, სამედიცინო შემოწმება გაიარა, კონტრაქტი გააფორმა და უკანვე გაბრუნდა. საგადინმა ლიტველს კარგად ვიცნობ, საქმეში ბევრჯერ მინახავს და გამოცდა არ სჭირდებაო. არსიჩს კარგა ხანს აკვირდებოდნენ და ბოლოსა შესთავაზეს კონტრაქტი, ამ ხნის მანძილზე იუგოსლავიელი და მე ერთად ვვარჯიშობდით, მაღალი დონის კალათბურთელია.

— როგორ ფიქრობთ, შეძლებთ, ჟუკაუსკასის, გოლემაცისა და არსიჩის კონკურენციას გაუძლოთ?

— ძალიან გამიჭირდება, ამ ეტაპზე იქნებ არარეალურიც იყოს მათან ჭიდილი, სამივე მათგანი მაღალი კლასის და ნაცადი კალათბურთელია, საჭვოა, რომ საგადინმა მათ მამჯობინოს, ახალწვეულებში სულაც იშხელა თანხები გადაიხადა „ოლიმპიამ“, ცხადია, მათ ჩემზე წინ დააყენებენ.

— გამოდის, უშანსოდ ყოფილხართ...

— მასეც არ არის. ვფიქრობ, „ოლიმპიაში“ მაინც ამიყვანენ, მაგრამ ევროპულ ლიგაში თამაშის შესაძლებლობა წლეულს, ალბათ, არ მომეცემა. ძირითადად ადგილობრივ ჩემპიონატში ვიქნები დასაქმებული და ვნახოთ, თუ საქმეს თავი გავართვი, სათამაშოდ ბევრ დროს მომცემს საგადინი.

— „ოლიმპიაში“ თქვენ მუდმივი თამაშის გარანტია არ გექნებათ. ხომ არ ჯობს კვლავაც სხვა გუნდში გაგანათხოვრონ, ისეთში, სადაც ლიდერობა დაგეკისრებათ?

— იქნებ მართლაც ჯობდეს, მაგრამ ოდესღაც „ოლიმპიაშიც“ ხომ უნდა დავიმკვიდრო ადგილი? ასეთ სოლიდურ გუნდში მოხვედრა კი კონკურენციის გარეშე წარმოუდგენელია. ეს არ მაშინებს, ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ და ყველაფერი წინ მაქვს.

— სხვა გუნდებიდან არ შეხმიანებიან „ოლიმპიას“ თქვენს თაობაზე?

— მე არაფერი მსმენია.

— მაშ, სხვაგან გადასვლას გამორიცხავთ?

— „ოლიმპიასთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, ორი წელი გავიდა და თუ სხვაგან წასვლაა, ახლა უნდა მოხდეს. კონტრაქტში ისეთი მუხლია ჩადებული, ერთი წელიც რომ დავრჩე „ოლიმპიაში“, მერე ველარსად გადავალ, თუ თავად არ გამყიდეს. საღღეისოდ გაცილებით იაფად შეიძლება ჩემი ხელში ჩაგდება და არ გამოვრიცხავ, სხვა კლუბშიც ამოვყო თავი. ივნისში იტალიაში გახლდით საწვრთნელ შეკრებაზე და როგორც შევიტყვე, ჩემს მენეჯერს, მარკ ფლეიშერს რამდენიმე წინადადება მიუღია ჩემი მსურველი გუნდებისგან. ჯერჯერობით მეტი არაფერი ვიცი.

— ვოვა, როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია თქვენი დაცვის მოთამაშედ ჩემოყალიბება? ფაქტია, რომ შეტევაში უწინდელივით შედეგიანი აღარ ხართ...

— ჩემი, როგორც კალათბურთელის ყველაზე დიდი ნაკლი ისაა, რომ დახვეწილი დრიბლინგი არ მაქვს. ამიტომ კომბინაციურ თამაშში მწვრთნელები ჩემზე არ აკეთებენ აქცენტს, ისინი, ალბათ, ხედავენ, რომ დაცვითი თამაშის უფრო დიდი პოტენცია გამაჩნია და ყოველივეც ამის ბრალია. ეს მთლიანად მწვრთნელთა შეხედულებებზეა დამოკიდებული, ლიდერს და დამგვირგვინებელი სროლის შემსრულებელს სწორედ მწვრთნელი ირჩევს. მე კი სხვა რამე მევალება-ხოლმე, მაგალითად, მეტოქე გუნდის ლიდერის გაუვნებლება, ფარზე ბურთის მოხსნა, პარტნიორისთვის ზუსტი და დროული პასის გადაწოდება...

— სლოვენიაში როდის დაბრუნდებით?

— 30 ივლისს იქ უნდა ვიყო, „ოლიმპია“ შეკრებაზე გადადის და საგადინიც მაშინ მეტყვის, მიტოვებს თუ არა გუნდში. დარჩენილ ათ დღეს კი მშობლიურ რუსთავში გავატარებ.

გიორგი ბიკაშვილი

ევროპული ამბები

თურქეთი

ფაჩულიასთან ევროლიგის ბომბარდირი ითამაშებს

სტამბოლის „ულქერმა“ იუგოსლავიელი ფორვარდი მილან გოლიოვიჩი გადაიბირა. 29 წლის და 203-სანტიმეტრიანმა კალათბურთელმა წინა სეზონი სლოვენიაში, ლაშკოს „პივოვარნაში“ გაატარა და თავი იმით დაგვამახსოვრა, რომ ევროლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (მატჩში საშუალოდ 20,2 ქულა). „ულქერმა“ გოლიოვიჩი ცხვირწინ აიცალა სტამბოლის „ეფესს“, რომელსაც იუგოსლავიელი „საკრამენტო კინგზში“ მიმავალი ჰიდაიეთ თურქოღლუს შემცვლელად ესახებოდა.

ზაზა ფაჩულიას გუნდს მომავალ სეზონში ისევ ჰარუნ ერდენაი უკაპიტნებს. მან ერთი წლით გაახანგრძლივა „ულქერთან“ კონტრაქტი. სეზონის დამთავრების შემდეგ ერდენაი სტამბოლის დატოვებას აპირებდა და საბერძნეთში თამაშს ეშურებოდა, მაგრამ „ულქერმა“ ხელსაყრელი პირობები შესთავაზა და კაპიტანი შეინარჩუნა.

„ულქერში“ კიდევ ოთხი ახალი კალათბურთელია. ამერიკელები ბენჯამინ ჰენდლოგტენი და კვადრე ლოლისი ფაჩულიას გუნდში სტამბოლის „გალათასარაიდან“ მივიდნენ, სერქან ერდოგანი — ბურსას „თოფაშიდან“, ხოლო ორჰან გიულერი — სტამბოლის „დარუშაფაკადან“.

სად წავიდა თოფაში?

ბურსას „თოფაშის“ დაშლის შემდეგ მისი მოთამაშეები თავისუფალი აგენტები გახდნენ. უმრავლესობა თურქეთისა და ევროპის სხვადასხვა კლუბებში წავიდა, ზოგიერთი კი კვლავაც გუნდის ძიებაშია. გთავაზობთ ყოფილ თოფაშელთა ტრანსფერების სიას:

დევიდ რივერსი	ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი)
რაშარდ გრიფიტი	კინდერი (ბოლონია, იტალია)
ალფერ ილმაზი	ეფესი (სტამბოლი, თურქეთი)
მეჰმეთ ოქური	ეფესი (სტამბოლი, თურქეთი)
სერქან ერდოგანი	ულქერი (სტამბოლი, თურქეთი)
სემსეთინ ბაში	ქარშიაქა (იზმირი, თურქეთი)
ჯუნეიით ერდენი	ტელეკომი (ანკარა, თურქეთი)
ჰუსეინ დემირალი	ტელეკომი (ანკარა, თურქეთი)
ასიმ ფარსი	ფენერბაჰჩე (სტამბოლი, თურქეთი)
სლავენ რიმაცი	უგუნდოდ
მურათ ქონუქი	უგუნდოდ

იუგოსლავია

ჯორჯევიჩის საბოლოო უარი

იუგოსლავიის ნაკრები ბელგრადის სასტუმრო „ჰაიათში“ შეიკრიბა და სიდნეის ოლიმპიადისთვის მზადება დაიწყო. შეკრების პირველ დღეს ნაკრების თექვსმეტი კანდიდატიდან ადგილზე თოთხმეტი გამოცხადდა. არ ჩანდნენ პრედრაგ დანილოვიჩი და დრაგან ტარლაჩი. ნაკრების მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა აღნიშნა, რომ ეს კალათბურთელები თავად მან გაათავისუფლა რამდენიმე დღით — დანილოვიჩი დის ქორწილზეა, ხოლო ტარლაჩი პირად პრობლემებს აგვარებსო.

„ჰაიათში“ მივიდა ალექსანდრ ჯორჯევიჩიც, ყველას მიესალმა, მერე კი მწვრთნელებს უთხრა, რომ შეკრებაზე ვერ დარჩებოდა და, საერთოდ, სიდნეის ოლიმპიადას გამოტოვებდა. ამის მიზეზად ჯორჯევიჩმა ოჯახი დასახელა, ერთი წლის ქალიშვილი მყავს და მინდა მას მეტი დრო დავუთმო. შეგახსენებთ, რომ ანალოგიური პრობლემის გამო სიდნეიში თამაში იუარა იუგოსლავიის ნაკრების ცენტრმა ვლადე დივაცმა.

ნაკრების მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა აღნიშნა, რომ იგი და მისი თანაშემწე დუშან ივკოვიჩი კიდევ ერთხელ დაელაპარაკებიან დივაცს და ჯორჯევიჩს და შეეცდებიან ნაკრებში თამაშზე დაითანხმონ. „დივაცი და ჯორჯევიჩი ნაკრების ბირთვს წარმოადგენენ. ამდენად, მათთან გასაუბრება აუცილებელია. როგორც მოთამაშეებმა და როგორც პიროვნებებმა, მათ ბევრი რამ გააკეთეს ქვეყნისთვის. ჩემი სურვილია, მყავდეს საუკეთესო გუნდი, თუმცა ძალით ნაკრებში ვერავის ვათამაშებ“ — დასძინა ობრადოვიჩმა.

ამის გამგონე ჯორჯევიჩმა მწვრთნელს დიდი მადლობა მოახსენა, მაგრამ ნაკრებში თამაში მაინც იუარა: „რა არის გასაკვირი ჩემს საქციელში? 33 წლის ვარ და მინდა ჩემს ქალიშვილთან მეტი დრო გავატარო. შეკრებაზე კონცენტრირებული უნდა იყო და მარტო კალათბურთზე უნდა იფიქრო. მე კი ამას ვერ მოვახერხებ, რადგან გონებით სულ სხვაგან, ცოლ-შვილთან ვიქნები. ამას გულწრფელად ვამბობ, თანაგუნდელებს ვერ დავაღალატებ“.

ჯორჯევიჩმა აღნიშნა, რომ მისი ახლანდელი უარი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სამომავლოდ ნაკრებში აღარ ითამაშებს: „სამი-ოთხი წელი თამაშს კიდევ ვაპირებ და, იმედი მაქვს, ნაკრებშიც მოვხვდები. ამჯერად კი დროს ოჯახთან ერთად გავატარებ. ბელგრადში აგვისტომდე ვიქნები. ნაკრების წევრებს მოვინახულებ ხოლმე, ოღონდ მხოლოდ ჩემს ქალიშვილთან ერთად“.

ალექსანდრ ჯორჯევიჩი (ბურთით)

ატლანტაში გამოცდილი ვანკუვერის ახალბედა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წესი თავისუფალ აგენტებს პირველ აგვისტომდე უკრძალავს კლუბებთან კონტრაქტის გაფორმებას. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ახალბედებზე და ყმაწვილებიც გულდამშვიდებით დებენ ხელშეკრულებას კლუბებთან, რომლებმაც ისინი დრაფტში დაისაკუთრეს, თუ, რაღა თქმა უნდა, კლუბებს ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ.

ორი დღის წინ „ვანკუვერ გრიზლიზმა“ კონტრაქტი ოფიციალურად გაუფორმა დრაფტი 2000-ის მეორე ნომერ სტრომილ სვიფტს. სვიფტმა და მისმა აგენტმა იყოჩაღეს, კანადურ კლუბს ახალბედასთვის განკუთვნილი კონტრაქტის მაქსიმუმი დასტყუეს — კალათბურთელი სამი წლის განმავლობაში 8,388 მილიონ დოლარს მოიხვეჭს. თავის მხრივ, არც „ვანკუვერი“ მოტყუვდა, ახალბედას ხელფასის მაქსიმუმს რომ აძლევს. სვიფტი ერთობ ნიჭიერი კალათბურთელია, სხვანაირად დრაფტის მეორე ნომერი ვერ გახდებოდა. მას ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტში მხოლოდ ორი კურსი დაუხურავს. სტუდენტური ლიგა ევიწროვა და განიზრახა, პროფესიონალებში მოსინჯოს ძალები. ბოლო სეზონში იგი თამაშში საშუალოდ 16,2 ქულას, 8,2 მოხსნას და თითქმის სამ დაფარებას ახერხებდა.

გარდა იმისა, რომ „ვანკუვერი“ გულდასმით აკვირდებოდა სვიფტის თამაშს სტუდენტურ ლიგაში, კლუბმა სხვაგვარადაც გადაწყვიტა თავისი რჩეულის შემოწმება. თავისი მომავალი თანაგუნდელი ატლანტაში წაუყვანია „ვანკუვერის“ ლიდერ შარიფ აბდურრაჰიმს და იქ ერთი კვირა ვარჯიშით სული ამოუხდია. თავად აბდურ-რაჰიმი დიდი მშრომელი ვინმეა, უქმად ვერ ნახავთ, სულ ვარჯიშობს და წამით არ დუნდება. მისი ენთუზიაზმი სვიფტსაც გადასდებია და მათ ერთი კვირა მომქანცველ ვარჯიშ-თამაშში გაუტარებიათ. სვიფტი კმაყოფილებას ვერ მალავს ატლანტაში გატარებული რამდენიმე დღის გამო: „ჩვენ ვვარჯიშობდით სიმძიმეებით, ვამუშავებდით სროლებს და ერთი-ერთზე ვთამაშობდით. ეს სწორედ ისაა, რაც მე მინდა. შარიფი ძალიან ძლიერი კალათბურთელია. ვგრძნობ, რომ ის ცდილობს, თავისი გამოცდილება გადმომცეს, მასწავლოს, რაც თავად ისწავლა ნბა-ში ოთხი წლის განმავლობაში და მე მზად ვარ, ყოველი მისი სიტყვა ღრუბელივით შევისრუტო. როდესაც საზაფხულო ლიგაში თამაშს მოვრჩებით, მე და შარიფი კვლავ ატლანტაში გავფრინდებით და მეცადინეობებს გავაგრძელებთ“.

ჯერომ სვიფტი სიმაღლით 208 სანტიმეტრია, ამპლუით — თავდამსხმელი. თუ ამ ყმაწვილმა შეძლო და თავისი შესაძლებლობები გამოავლინა, პირველივე პროფესიულ სეზონში მას გარანტირებული ექნება ადგილი სასტარტო ხუთეულში. საერთოდ „ვანკუვერი“ ახალგაზრდული და პერსპექტიული გუნდია. თუმც თავისი ხუთი წლის არსებობის მანძილზე კანადურმა გუნდმა ჯერ თავი ვერაფრით გამოიჩინა. მას ჰყავს ხუთი ნიჭიერი ახალგაზრდა, მათ შორის სვიფტიც, რომლისგანაც მომავალში კარგი გუნდის ჩამოყალიბება შეიძლება.

ამ დღეებში სვიფტის გარდა სხვა ახალბედებმა დაუდეს კონტრაქტები თავიანთ გუნდებს. „დენვერ ნაგითსს“, რაც დიკემბე მუტომბო დაკარგა, მუდამ ცენტრის პრობლემა აქვს, ამიტომაც ბოლო წლების დრაფტებში ძირითადად ცენტრებზეა დაგეშილი. ახლაც კოლორადელებმა 26-ე ნომრად, მუტომბოსავით აფრიკელი, ოლონდ ის სენეგალელი მამადუ ნდაიე ირჩიეს. თუმც იგი მხოლოდ წარმოშობითაა სენეგალელი, შტატებში გაუტარებია ცხოვრების დიდი ნაწილი და ობურნის უნივერსიტეტშიც უსწავლია. ნდაიეს და მუტომბოს სხვაც აქვთ საერთო: ბებერი მუტომბოს მსგავსად, ნდაიეც დაცვაში უფრო ყოჩაღია, ვიდრე შეტევაში, კარგად ხსნის და აფარებს. აი, ბურთის ჩაგდებაში კი აშკარად მიკოჭლებს. 213-სანტიმეტრიანმა მამადუმ თუ გაამართლა, „დენვერის“ ძირითად ცენტრად გახდომის დიდი შანსი აქვს. მანამდე აქ თამაშობდა ამპლუით თავდამსხმელი რიფ ლაფრენცი. მამადუ ნდაიეს გარდა „დენვერმა“ კიდევ ერთი ცენტრი აიყვანა, დრაფტის 53-ე ნომერი, ჩრდილოეთარიზონელი დენ მაკლინტოკი.



სტრომილ სვიფტი

„შარლოტ ჰორნეთსმა“ სამწლიანი და 2,6 მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა პირველ წრეში მე-19 ნომრად აყვანილ ჯამაალ მალუას. ეს კალათბურთელი კანადელია, კენტუკის უნივერსიტეტში გამობრძმედილი. მას კარგი მეფარის სახელი აქვს, 208-სანტიმეტრია და თავდამსხმელობასთან ერთად ცენტრობაც წარმატებით ძალუძს. მალუა თავისი ქვეყნის ნაკრების რიგებში სიდნეიში თამაშზე ოცნებობს, მაგრამ მწვრთნელ ჯეი ტრაიანოს არ მიჰყავს.

„მილუოკი ბაქსმა“ დრაფტში სამი ახალი კალათბურთელი იშოვა. მათგან ორს — მეცხრე ნომერ ჯოელ პრეიბილას და 49-ე ჯეისონ ჰარტს ორი კვირის წინ გაუფორმა კონტრაქტი, 43-ე ნომერ მაიკლ რიდს კი — მხოლოდ ორი დღის წინ. რიდი მსროლელია, ოჰაიოს უნივერსიტეტის ლიდერიც გახლდათ და მატჩში საშუალოდ 19,3 ქულას აკეთებდა.

ირაკლი ფირაშვილი

ლეგენდა გამოთრიეულა!

აბდულ ჯაბარი მარიხუანას მოწევისთვის დააკავეს

სამშაბათს, საღამოს შვიდ საათზე, ლოს ანჯელესის გარეუბან სან ფერნანდო ველში პოლიციამ აცა-ბაცად მიმავალი მანქანა გააჩერა. მძღოლი პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს, ტესტი ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ მარიხუანა ჰქონდა მოწეული. ამაში განსაკუთრებული არაფერი იქნებოდა, რომ არა მძღოლი. იმ მანქანის საჭესთან ქარიმ აბდულ ჯაბარი იჯდა.

ქარიმ აბდულ ჯაბარი არა მხოლოდ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის, არამედ მსოფლიო კალათბურთის და სპორტის ლეგენდაა. 218-სანტიმეტრიანმა ცენტრმა 20 სეზონი გაატარა ნბა-ში. ექვსჯერ გახდა ჩემპიონი (ერთხელ — „მილუოკიში“, ხუთჯერ — „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“), ექვსჯერ მოიპოვა სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული, 19-ჯერ ითამაშა „ოლ სტარზში“. აბდულ ჯაბარი ნბა-ს ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია. თავის ბრწყინვალე კარიერაში მას 44 149 ქულა გაუკეთებია (პლეი ოფების ჩათვლით).

ქარიმ აბდულ ჯაბარი

პოლიციაში აბდულ ჯაბარი სანიმუშოდ იქცეოდა, წესრიგის დამცველთა ყველა თხოვნა შეასრულა. მან აღიარა, რომ მარიხუანა მოწია, რის შემდეგაც პოლიციამ იგი გააფრთხილა და გაათავისუფლა. პოლიციის განყოფილების უფროსმა ედუარდო ფიუნესმა აღნიშნა: „ბატონმა აბდულ ჯაბარმა საუკეთესო მოქალაქის თვისებები გამოავლინა. დაკავებისას მან არ გაუწია წინააღმდეგობა პოლიციელებს. გაუგებრობა არც განყოფილებაში მისი მოყვანის შემდეგ მომხდარა“.

ტესტის საბოლოო შედეგები ჯერ არ არის ცნობილი. პასუხს სასამართლოს გაუგზავნიან, რომელიც გადაწყვეტს, რა ადმინისტრაციული სასჯელი დაედება აბდულ ჯაბარს. იმასლა დავსძენთ, რომ ლეგენდარული კალათბურთელი 53 წლისაა და ბოლო სეზონში „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა.

ქალო, განახე ფეხშიშველი

აღმოსავლეთ ტიმორელები სოკ-ის დროშით

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საბანი საკმაოდ გრძელია. გრძელია თუნდაც იმიტომ, რომ იგი ითვლის მასში გაერთიანებულ 200 წევრ ქვეყანას — ბევრად მეტს, ვიდრე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

ამას წინათ ვიუწყებოდით, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობა სურდათ აღმოსავლეთ ტიმორის სპორტსმენებს. თუმცა მათი იქ მონაწილეობა საეჭვო იყო, რადგან სოკ-ის ქარტიის თანახმად, ოლიმპიადაზე მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულ ქვეყნებს, ანუ სუვერენულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს.

შეგახსენებთ, რომ აღმოსავლეთ ტიმორმა შარშან ჩატარებული არჩევნების შედეგად თავი დააღწია ინდონეზიის 24-წლიან ქვეშევრდომობას. ამჟამად მათ გაჩანაგებულ ტერიტორიას გაერთიანებულ ერების ორგანიზაცია მფარველობს.

— წარსულის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სუვერენიტეტი განვითარებადი პროცესია, თუმცა მნიშვნელოვანია ის, რომ ათლეტებს ოლიმპიადაზე მონაწილეობის უფლება მიეცათ — ამბობს სოკ-ის გენერალური დირექტორი ფრანსუა კარარდი.

სოკ-მა თავის აღმასრულებელ საბჭოზე აღმოსავლეთ ტიმორის ერთ მუჭა სპორტსმენებს ოლიმპიადაზე ასპარეზობის ნება დართო, თუმცა როგორც ინდივიდუალურ პირებს.

„ინდივიდუალურ ოლიმპიელთა სტატუსი იმას ნიშნავს, რომ მათ არ ექნებათ უფლება გამოვიდნენ ეროვნული ფერებით და არც მათი გამარჯვების შემთხვევაში აყელერდება ეროვნული ჰიმნი. ამას გარდა, ოლიმპიურ ქარტიაზე დაყრდნობით სოკ-მა გადაწყვიტა, რომ აღმოსავლეთტიმორელი სპორტსმენები შეიმოსებიან თეთრი უნიფორმით, რომელზეც არ იქნება არანაირი აღნიშვნა. ამასთან, სააღლუმო მსვლელობისას ისინი გაყვებიან ოლიმპიურ დროშას. იმ შემთხვევაში, თუ კი წარმატებას მიაღწევენ და საპრიზო ადგილებს დაიკავებენ, ეროვნულის ნაცვლად აღიმართება ოლიმპიური დროშა და აჟღერდება ოლიმპიური ჰიმნი.

კარარდის თქმით, გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ წინადადების მიღება გახლდათ მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად. ტიმორელ სპორტსმენთა ოლიმპიადაზე დაშვების საკითხში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პორტუგალიისა და ავსტრალიის დიდმოხელეებმაც. ამასთან დაკავშირებით არც ინდონეზიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს გამოუხატავს წინააღმდეგობა.

ახლა, როდესაც აღმოსავლეთ ტიმორელებს მონაწილეობის უფლება მიეცათ, გადასაწყვეტია მეორე საკითხი, კერძოდ ის, თუ ვინ გამოვა ოლიმპიადაზე.

მოგეხსენებათ, ოლიმპიურ თამაშებზე საასპარეზოდ გარკვეულ მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ესა თუ ის სპორტსმენი. ვგულისხმოთ ათლეტის საოლიმპიადო დონეს.

სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტ კევინ გოსპერის მეთაურობით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დელეგაციის ვიზიტისას შეარჩიეს რამდენიმე აღმოსავლეთტიმორელი ათლეტი, რომლებსაც სიდნეის ოლიმპიადაზე ძალუძთ ასპარეზობა.

გოსპერის თქმით, ასეთებად შეიძლება ჩავთვალოთ მძლეოსანთა, ძალოსანთა, მოკრივეთა და ტაე კვანდოს წარმომადგენლები.


კევინ გოსპერი

— ექვსიდან ათამდე შერჩეული ათლეტიდან თუ 2 ან 4 საოლიმპიადო დონის მონაწილე მაინც აღმოჩნდება, ეს უკვე დიდი შედეგი იქნება. — თქვა გოსპერმა.

ასეთებად კი გოსპერს 30 წლის მოკრივე, ამჟამად გაეროში მომუშავე ვიქტორ რამოსი მიაჩნია, რომელსაც ავსტრალიის სპორტის ინსტიტუტმა წინასაოლიმპიადო პერიოდში სავარჯიშოდ მიწვევაც კი გაუგზავნა (სადაც, სხვათა შორის, რუსი ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრ პოპოვიც ვარჯიშობს).

ერთ-ერთ ასეთ ოლიმპიელად აგრეთვე შეგვიძლია ვიგულისხმოთ 25 წლის მარათონელი აგიდა-ფატიმა ამარალი, რომელსაც სავარჯიშოდ ფეხსაცმელიც კი არ ჰქონდა და ფეხშიშველი დარბოდა. გულაჩუყებულმა გოსპერმა მას სარბენი კედები აჩუქა.

გიგა გურასაშვილი

ოლიმპიურ ბაზარს ცეცხლი უკიდია

სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბილეთების გაყიდვა გაზრდილი ფასებით უკვე დაიწყო. მათი შეძენა ყველაზე იოლად ინტერნეტის გლობალური კომპიუტერული ქსელით შეიძლება, ოღონდ საამისოდ უნდა გქონდეთ საკრედიტო ბარათი და გაძეძგილი ქისა. ბილეთების უმეტესობა ოთხჯერ ძვირად იყიდება იმასთან შედარებით, რაც თავად ბილეთებს აწერია, ასეთი ინტერნეტ-გამყიდველების უმეტესობა კი ამერიკაშია.

მაგალითად, კომპანია „თიქეთფაინდერი“ გვთავაზობს ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე საუკეთესო ადგილების ბილეთებს 3 500 დოლარად მაშინ, როცა შეჯიბრების ორგანიზატორთა ფასი იმავე ბილეთზე 800 დოლარია.

ამ ოლიმპიადაზე ყველაზე იაფიანი ბილეთი გადამყიდველური ფასით 1 250 დოლარია. არადა თავდაპირველად მათი შეძენა 4-ჯერ ნაკლები ღირებულებით შეიძლებოდა.

ასეთივე სხვაობაა ოლიმპიური თამაშების სხვა ღონისძიებებზეც. მაგალითად, ფეხბურთელთა ფინალური მატჩის ბილეთი ინტერნეტის ქსელით 2 500 დოლარი ღირს, თუმცა მისი ოფიციალური ფასი 600 დოლარია.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კომპანიები კანონიერად იქცევიან და ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთაგან ერთბაშად ბევრ ბილეთს არ ყიდულობენ, რადგან დასტა-დასტად მათ არც არავინ გაყიდის. ვაჭრები თავდაპირველად ამა თუ იმ ღონისძიების ბილეთებს მათი ბედნიერი მფლობელებისგან გაზრდილი ფასებით ყიდულობენ. ამის მერე მყიდველი ღირებულების 25 პროცენტს უმატებს და თავად გამოდის გამყიდველის როლში. ზოგჯერ ბილეთი, ვიდრე იმ ინტერნეტ-მაღაზიებში მოხვდება, რამდენიმე ხელში გადის და ფასიც შესაბამისი გამოდის.

ასე რომ, ოლიმპიური ბილეთების ბაზარს, როგორც იტყვიან, ცეცხლი უკიდია.

სარჩელი... სიტყვების წინააღმდეგ

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, აშშ-ს ეოკ-მა და სოლტლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტებმა ინტერნეტის ელექტრონულ „გვერდებზე“ ოლიმპიური ტერმინების გამოყენების წინააღმდეგ აშშ-ის სასამართლოში საქმე აღძრეს. ისინი დაახლოებით 1 800-მდე საიტის დახურვას მოითხოვენ.

კომპანია „ნეთვორქ სოლუშენის“ მონაცემებით, რომელიც საიტთა სახელების რეგისტრაციასა და აღრიცხვას ეწევა, ინტერნეტში კომერციული უფლებების დამრღვევთა წინააღმდეგ ასეთი ფართომასშტაბიანი „შეტევა“ ჯერ არ განხორციელებულა. სარჩელი მოიცავს 53 ქვეყანაში რეგისტრირებულ არამხოლოდ ინგლისურ, არამედ სხვადასხვა ენაზე შეყვანილ „ოლიმპიურ“ სახელწოდებებსაც.

საუბრობენ ხმოვანი პრინციპების მსგავსად ოლიმპიურ ტერმინთა წინასწარ-განზრახულ დამახინჯებაზეც.

ამ ტერმინების — ყოველ შემთხვევაში იმთი, რომლებიც საკმაოდ ცნობილია და შესაძლოა კომერციულ ინტერესსაც წარმოადგენდნენ — გამოყენების უფლება საერთაშორისო და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებზეა და კანონით დაცულიც გახლავთ.

საინტერესოა, რომ აშშ-ში სარჩელი შეტანილია არა ინტერნეტის საიტთა მფლობელების, არამედ თავად ტერმინების წინააღმდეგ. იურისტთა თქმით, ეს საშუალებას იძლევა ამერიკის სასამართლოს საშუალებით პრეტენზიები წაუყენონ იმ საიტებს, რომლებიც აშშ-ს ფარგლებს მიღმაა.

გიგა გურასაშვილი

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

C R O C O

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური
ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
თემქა, მე-11 მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ახალი ბიურო: გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“
განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

დარბაზს წევრები შეემატა

ცუდს ნურაფერს იფიქრებთ — მარტინა ნავრატილოვა დედას, იანას კოცნის

გასულ უქმეებზე ამერიკულ ნიუპორტში „დიდების დარბაზში“ ახალი წევრების მიღების ყოველწლიური ცერემონია გაიმართა. ამჯერად ამ დიდი პატივის ღირსნი ლეგენდარული ქალი ჩოგბურთელი მარტინა ნავრატილოვა, ავსტრალიელი მელ ანდერსონი და კალიფორნიელი რობერტ კელეჰერი გახდნენ.

ალბათ საჭირო არ არის, უკვე მესამედ შეგახსენოთ, რომ ნავრატილოვამ თავისი ხანგრძლივი და წარმატებული კარიერის მანძილზე 18 დიდი სლემის ტიტული და 165 წყვილების ტურნირი მოიგო, 331 კვირის მანძილზე გახლდათ მსოფლიოს პირველი ჩოგანი და საპრიზოებით 20 მილიონი დოლარი მოიხვეჭა. მეტიც, თავისი ათლეტურობითა და თამაშის აგრესიული სტილით მან ქალთა ჩოგბურთი მანამდე უხილავ სიმაღლეზე აიყვანა.

„მე შედარებით გვიან, 25 წლისამ გადავწყვიტე, გასავათებამდე მევარჯიშა და არაფერი დამეშურებინა წარმატების მისაღწევად. ახლა კი ყველა ახალგაზრდა მოთამაშე თავიდანვე დიდ დროს უთმობს ფიზიკურ მზადყოფნას“ — განაცხადა მარტინამ, რომელსაც თან დედა, იანა ახლდა.

ნავრატილოვა საბოლოოდ ჯერაც არ ჩამოშორებია დიდ სპორტს. წლევანდელ უიმბლდონზე მარიან დე შვარდტთან ერთად წყვილებში მეოთხედფინალში გააღწია და სავსებით შესაძლებელია, აშშ-ის ღია პირველობაზეც ვიხილოთ: „მთავარია, კარგი, ჩემზე უკეთესად მოთამაშე მეწყვილე ვიშოვო. ისეთი ვინმე მჭირდება, ვინც ჩემს ნაკლებ სისწრაფეს აანაზღაურებს. ყველაზე მეტად ის მიკვირს, რომ რაც დავბრუნდი, ერთხელაც არ დავშავებულვარ. ეს საოცარია, მე ხომ 4 წელია, არ მითამაშია“.

მელ ანდერსონი პირველი განუთესავი ჩოგბურთელი იყო, ვინც აშშ-ის ღია პირველობა მოიგო. 1957-ის ფინალში მან ეშლი კუპერი დაამარცხა, იმ პერიოდში ავსტრალიის დეევისის თასის გუნდის მუდმივი წევრიც გახლდათ.

რაც შეეხება კელეჰერს, თავის დროზე ის აშშ-ის დეევისის თასის გუნდის კაპიტანი იყო, მოგვიანებით კი დიდი როლი ითამაშა ღია ჩოგბურთის ეპოქის დაწყებაში — პროფესიონალებისა და მოყვარულების ერთად ასპარეზობის უფლების მოპოვებაში.

არაბები ქალებზე ნადიროობენ

საუკუნეების მანძილზე მუსლიმან მანდილოსნებს თავიანთი მწუხარი სახეების შავი ჩადრის ქვეშ მალვა უხდებოდათ, მაგრამ 21-ე საუკუნის დასაწყისში პროგრესი და წინსვლა მსოფლიოს მრავალ შავნელ რეგიონს გადასწვდა და ჩაგრულებს შვება მოუტანა.

ამის ნათელი მაგალითია ის, რომ 2001 წლის დამდეგს არაბულ სამყაროში ქალთა პირველი საჩოგბურთო ტურნირი გაიმართება. აქვე პრობლემაც (თუ მუსლიმან ფუნდამენტალისტებს არ ჩავთვლით): მოკლე ქვედაბოლოებსა და წინ და უკან ამოჭრილ მაისურებში გამოწყობილი მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა მასპინძლობის მსურველი ერთბაშად ორი ქალაქი აღმოჩნდა.

ორშაბათს ყატარის ჩოგბურთის ფედერაციის თავკაცმა, დიდად პატივცემულმა ალი ალ-ფარდანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 12-18 თებერვალს დოჰაში 550-ათასდოლარიანი ტურნირი ჩატარდება, რომელშიც სხვებთან ერთად მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი და ანა კურნიკოვა მიიღებენ მონაწილეობას.

პირველობითა და პიონერობით დატკბობა დოჰელებს სულ მცირე ხანს დასცალდათ. სამშაბათს არაბთა გაერთიანებული საემიროების ერთ-ერთი მსხვილი კომპანიის, DUBAI DUTY FREE-ის წარმომადგენელმა ქვეყანას ამცნო, რომ აქამდე გაუკვალავ გზაზე პირველი ყატარელები კი არა, სწორედ ისინი გაივლიან და 5-11 თებერვალს დუბაიში ქალთა ტურნირს ჩაატარებენ.

„უკვე კარგა ხანია, ვცდილობთ, WTA ტური დავითანხმოთ კალენდარში ჩვენს ჩართვაზე და მოხარულები ვართ, შეგატყობინოთ, რომ ახლო აღმოსავლეთში ქალთა ჩოგბურთს დავამკვიდრებთ“ — ეს ტურნირის დირექტორის, ვინმე კოლინ მაკლაფლინის სიტყვებია.

თუმცა ამ მწარე პაექრობაში გამარჯვებულის ვინაობა საბოლოოდ ჯერაც არ არის გარკვეული. რამდენიმე საათის შემდეგ სიტყვით უკვე WTA ტური გამოვიდა, დუბაელებთან მოლაპარაკებას მართლაც ვაწარმოებთ, მაგრამ გადაწყვეტილებას მხოლოდ 27 ივლისს მივიღებთო. იქნებ მანამდე რომელიმე არაბთა შეიხს ავსტრალიის ღია პირველობის უდანაში გადმოტანის გენიალური იდეაც გაუჩნდეს.

ავთანდილ სვანიძე



ანა კურნიკოვა

ამსტერდამი. ჰოლანდიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $	ზორვატიის საერთაშორისო პირველობა. უმაგი. თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $
პირველი წრე: ქრისტიან რუუდი (ნორვეგია) — ნიკოლას ლაპენტი (1, ეკვადორი) 6:2, 7:5; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) — მარიანო ზაბალეტა (2, არგენტინა) 3:6, 6:2, 7:6 (9:7); **ბრნო დი პასკუალე** (3, საფრანგეთი) — როდოლფ კადარი (საფრანგეთი) 6:3, 6:3; **მაგნუს გუსტავსონი** (4, შვედეთი) — გასტონ ეტლისი (არგენტინა) 6:2, 6:2; **რიჩარდ ფრომბერგი** (5, ავსტრალია) — ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 6:2, 6:3.	**პირველი წრე: მარსელო რიოსი** (2, ჩილე) — იან კროსლაკი (სლოვაკეთი) 6:3, 6:1; **კარლოს მოია** (4, ესპანეთი) — ივან ვადა (ხორვატია) 6:3, 6:1; **მარციო მარტელი** (იტალია) — ჯეფ ტარანგო (5, აშშ) 4:6, 6:2, 6:1; **ალბერტო მარტინი** (6, ესპანეთი) — გილერმო კანასი (არგენტინა) 1:6, 6:0, 6:4; **სერხი ბრუგერა** (ესპანეთი) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:3, 1:6, 7:5; **გერმან პენტესი** (ესპანეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:3, 3:6, 6:3.

გამარჯვებული გაასამართლეს

ვლადიმირ კრამნიკი

დორტმუნდის სუპერტურნირი დასრულდა, უმნიშვნელოვანესი კითხვა კი, რომელიც მსოფლიოს მეორე მოჭადრაკის ვინაობას ეხებოდა, უპასუხოდ დარჩა. ვიშვანათან ანანდმა და ვლადიმირ კრამნიკმა ტურნირი წყვილად მოიგეს, თუმცა დამატებითმა მახასიათებელმა პირველობა რუსს არგუნა — კრამნიკმა ანანდს პირადი შეხვედრა მოუგო. ეს ტურის და ტურნირის ცენტრალური მოვლენა მეექვსე რაუნდში მოხდა. კრამნიკი თეთრებით თამაშობდა და დებიუტში ორივე მეფე საკუთარი სახელობის ფრთაზე დაიმალა თუ არა, ლაზიერის ფლანგზე და ცენტრში სამი ღონიერი პაიკისგან შემდგარი ფალანგა გააწყო. მე-13 სვლაზე თეთრებმა შეტევა დაიწყეს, მაგრამ მისი შედეგი უმნიშვნელო იყო. კრამნიკმა მეტოქის ზონაში შეღწევა კი მოახერხა, მაგრამ ანანდმა გონივრული უკანდახევით 27-ე სვლისთვის ლაზიერის ფრთაზე ვითარება საბოლოოდ განმუხტა, მერე კი მეფის ფრთაზე თავად ჩაღრმავდა შეტევის პერსპექტივებს, ცენტრალური პაიკი გაწირა და თავისი „ხალხი“ ერთად მოაგროვა გადამწყვეტი დარტყმისთვის. კრამნიკი ფხიზლად იყო, მეტოქის დაჯგუფებას გვერდიდან დაარტყა და სასარგებლო გაცვლები გაახერხა, შემდეგ კი ანანდმა, ეშმაკმა იცის რატომ, მეტოქეს ხარისხი აჩუქა და ბრძოლის დასკვნითი მონაკვეთი მე-40-დან 65-ე სვლამდე მხოლოდ ტექნიკური ფორმალობა იყო და სხვა არაფერი: კრამნიკს საჩუქრის შერგება ერთობ ეხერხება.

იმ ტურში საინტერესო სხვა არაფერი მომხდარა. მაიკლ ადამსისა და პიტერ ლეკოს პარტიას ახლდა საკმაო ინტრიგა, მაგრამ როცა ორივე მხარე მხოლოდ პოზიციის დასახურად ფუსფუსებს, შედეგიანი ბრძოლის იმედი ნაკლებია. დიაგრამიდან ცხადი ხდება, 32-ე სვლაზე ყაიმი უყოყმანოდ რატომაც გაფორმდა.



მთქნარებისმომგვრელი იყო მე-7 ტურიც, სადაც მხოლოდ ვლადიმერ აკოფიანი გამოირჩა. სომეხმა ჯეროენ პიკეტს ეფექტურად, 25 სვლაში მოუგო და დაარწმუნა, რომ დებიუტში ფიგურებით ზედმეტ ბოდიალს მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. პიკეტმა ჯავრი „ჯუნიორ 6“-ზე ამოიყარა, რომელსაც მე-8 ტურში კრამნიკის ტაქტიკით მოუგო. ანუ: აამუშავა პაიკები, ჩახერგა პოზიცია და კომპიუტერის დაბნევას დაელოდა. „ჯუნიორმა“ მეტოქეს გაუმართლა, ქარაფშუტული სვლების კეთება დაიწყო და პიკეტსაც მეტი რა უნდოდა — მისმა შავებმა თეთრი მეფის უხეიროდ მოწყობილი ბანაკი წამში დაანგრიეს. „ჯუნიორის“ ავტორებმა ახლა იციან თავიანთი ქმნილების სუსტი წერტილი და შესაბამისად, მომავალ სამუშაოთა არსიც. ერთი მათგანი, ამირ ბანი ტურნირის მსვლელობისას პროგრამის ღირსებებზე მოკრძალებით საუბრობდა და ამატებდა, კმაყოფილი ვიქნები, თუ „ჯუნიორი“ ქულათა 50 პროცენტს დაგროვებსო. მანქანაც ზუსტად ასე მოიქცა, თან ბოლო ტურში პეტერ ლეკოს მოუგო. უნგრელმა მანქანასთან ბრძოლის მიღებულ წესს უღალატა, ტაქტიკური ბრძოლის ხერხი არჩია და დაისაჯა. ბოლო ტურშივე „კასპაროვის კლუბის“ ექსპერტთა კრიტიკა დაიმსახურეს კრამნიკმა და ალექსანდრ ხალიფმანმა. „მათი „პარტია“ — წერს ერთი დიდოსტატი — ჭადრაკის სირცხვილია და ტურნირის ორგანიზატორებისა და გულშემატკივრების დაცინვა. მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ მაშინ, როცა კრამნიკი დებიუტში შეცდა და სრული ინიციატივა ხალიფმანის მხარეს გადავიდა. ყაიმის არანაირი მოტივაცია არ ჩანდა. მთელი ბრძოლა წინ იყო.“ ამასობაში ანანდმა დოქტორი რობერტ ჰიუბნერი დაჩაგრა და კრამნიკს დაეწია, თუმცა საბოლოო გამარჯვებულის ვინაობა ზემოთ უკვე გავაცხადეთ.

დავით გულუა

საბოლოო შედეგები

1-2. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი). ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — 6; 3-5. მაიკლ ადამსი (ინგლისი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), ვლადიმერ აკოფიანი (სომხეთი) — 5; 6. „დიიპ ჯუნიორ 6“ (ისრაელი) — 4,5; 7-8. ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი), ევგენი ბარეევი (რუსეთი) — 4; 9. ჯეროენ პიკეტი (ჰოლანდია) — 3,5; 10. რობერტ ჰიუბნერი (გერმანია) — 2.

გსურთ ხელმისაწვდომ ფასებში მაღალპროფესიული იურიდიული მომსახურება?

მაშ, ეწვიეთ ფირმა „პრეცედენტს“, რომელიც მდებარეობს ვერაზე, სასტუმრო „საქართველოს“ მოპირდაპირე მხარეს, მელიქიშვილის №7.

ტელ: 29-29-46, 52-64-25 (საღამოს). 8 99 56-00-50

ჰაკინენის ბედი შავ ყუთშია

ზონტამ მოუბოდიშა შუმახერს, რომელსაც თვალი მაკლარენისკენ გაექცა

რონ დენისი და მიკა ჰაკინენი შავი ყუთის გახსნას მოუთმენლად ელიან



მიხაელ შუმახერი „მაკლარენით“ გასეირნებაზე ოცნებობს

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

კვირას, ავსტრიის დიდი პრიზის გათამაშებისას მომხდარი ინციდენტები კვლავ ყურადღების ცენტრშია. ყველა მიხაელ შუმახერის ავარიასა და მიკა ჰაკინენის სავარაუდო დისკვალიფიკაციაზე ლაპარაკობს.

პირველივე წრეზე ლიდერის გამოთიშვისა და მისი უმთავრესი მტრების, მოშავო რუხი „მაკლარენების“ ზედიზედ მეორე დუბლის შედეგად შუმის ერთი თვის წინანდელი უზარმაზარი უპირატესობიდან პრაქტიკულად აღარაფერი დარჩა. თუ იგი მომდევნო რბოლაშიც ვერ შეძლებს ფინიშამდე მიღწევას, არაა გამორიცხული, ერთბაშად ორივე კონკურენტმა გაასწროს. მოკლედ, საწყისი სამი ეტაპის მოგების შემდეგ ლამის უკვე ჩემპიონად შერაცხულ გერმანელს, ზედიზედ მეორე მარცხით აშკარად მოეძალა თავსატეხი და თითქმის მოგებული ტიტულისთვის ხელახლა მოუწევს ბრძოლა.

წინა, ფრანგულ ეტაპზე მიხაელს ძრავამ უმტყუნა, თუცა ავსტრიაში ჩასვლისთანავე იმედიანად განაცხადა, ინჟინრებმა ხარვეზს მიაგნეს და მანქანა სრულ მზადყოფნაშიაო („სკუდერიის“ ტაქტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ცხადია, მიზეზი არ დაუკონკრეტებია). მაგრამ შაბათის კვალიფიკაციისას ბედაურმა კიდევ ერთხელ უღალატა — შუმიმ მხოლოდ მეოთხე დრო აჩვენა და ორივე „მაკის“ გარდა, თანაგუნდელ ბარიკელოსაც გვარიანად ჩამორჩა, რაც წლეულს მისთვის უარესი შედეგი გახლავთ. ვფიქრობთ, ეს განგაშის ნიშანია, რადგან მეტოქეებზე თავიდან ბევრად საიმედო და სწრაფი „ფერარი“ ახლა თითქოს ადგილს ტკეპნისო, წინ ვეღარ მიიწევს, „მაკლარენმა“ კი პირიქით, სეზონის სტარტზე „ჩავარდნის“ შემდეგ ტემპს უმატა და მანქანის საიმედოობაც აშკარად გაზარდა, რაზეც შვიდ რბოლაში ხუთი გამარჯვება და უკვე 13 პოდიუმიც აშკარად მეტყველებს.

იტალიური საჯინიბოს ხელმძღვანელობა დღევანდელი მდგომარეობით, ცხადია, შეშფოთებულია, თუმც სიტუაცია კრიზისული სულაც არ ჩანს. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ შპილბერგში შუმახერის შესაძლო შეჯეგზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან ფინიშამდე მისვლა არ აცალეს. მას ბოლომდე რომ ეასპარეზა, გვეეჭვება, „მაკლარენს“ დუბლი გაეხერხებინა. ამდენად, ბევრ საკითხს მოეფინება ნათელი 30 ივლისს ჰოკენჰაიმში რბოლისას. ტექნიკურ პერსონალს საკმაო დრო აქვს ცვლილებების შესატანად, ხოლო სამშობლოში მიხაელის წარმატება სატურნირო სტატუს-კვოს აღადგენს და საჩემპიონო ბრძოლაც „ფერარისთვის“ სასურველ კალაპოტში გაგრძელდება.

ავსტრიაში შუმახერის ავარიის მიზეზმა, ბრაზილიელმა რიკარდო ზონტამ, ვისთვისაც ეს რბოლა მხოლოდ 23-ე იყო, ბოდიში კი მოუხადა შეჯახებისთვის, მაგრამ ისიც აღნიშნა, მიხაელმა მოსახვევში მკვეთრად დაადგო სიჩქარე და მართალია, მთელი ძალით ვამუხრუჭებდი, მაგრამ შეტაკების თავიდან აცილება ვერ შევძელიო.

გერმანელის საპასუხო რეაქციამაც არ დაახანა: — ცხადია, ძალიან გაბრაზებული ვარ ზონტაზე. ყველაფერი მისი ბრალი იყო. თუმცა მას ეს შეგნებით არ გაუკეთებია — საკუთარი შესაძლებლობები და ბოლიდის სიჩქარე იმ მომენტში სათანადოდ ვერ შეაფასა. მსგავსი შეცდომა წინათ მეც არაერთხელ დამიშვია. ვთვლი, რომ ზონტამ ... ქტორს ასპარეზობა უნდა შეეწყვიტა და განმეორებითი სტარტი დაენიშნა. მან კი ტრასაზე პეისკარი გამოუშვა, სტიუარდებმაც, ჩემდა საუბედუროდ, უსწრაფესად, თვალის დახამხამებაში გაასუფთავეს გზა ნამსხვრევებისგან.

ნირწამხდარმა შუმიმ რბოლას ბოლომდე არც უყურა, ბარგი ჩაალაგა და საკუთარი თვითმფრინავით შინ, შვეიცარიაში გაფრინდა.

სამაგიეროდ, ბრიტანულ-ბავარიული „მაკლარენის“ ბანაკში ზეიმობდნენ ზედიზედ მეორე დუბლს და პილოტ-გუნდურ პირველობაში სატურნირო ვითარების მათთვის ასეთ სასიამოვნო შემობრუნებას. თუმც სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. რბოლის შემდეგ ჰაკინენის ბოლიდის სავალდებულო შემოწმებისას ელექტრონიკის ბლოკის ერთ-ერთი ლუქი მომძვრალი ნახეს. თუ ეს განზრახ მოხდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ „მაკლარენმა“ რაღაც აკრძალული ხერხი გამოიყენა, ჩემპიონს დისკვალიფიკაცია არ ასცდება. ხელსაწყო გამოსაკვლევად ლონდონში წაიღეს და ვიდრე ექსპერტები ვერდიქტს გამოაქვეყნებენ, ავსტრიული ეტაპის შედეგები საბოლოო არაა. მიკა და მისი შეფი რონ დენისი საკმაოდ მშვიდად ელიან „შავი ყუთის“ საქმის გახსნას, რადგან, მათი თქმით, წესის საწინააღმდეგო არაფერი დაუშვებიათ და ლუქის მოძრობა რბოლისას ვიბრაციის ბრალი უნდა იყოს.

ამ ფაქტთან შუმახერის დამოკიდებულებაზე ვერაფერს ვიტყვით. ის კი ცხადია, რომ მიკას თუ დანაშაული დაუმტკიცდა, მოგება კულჰარდს გადაეცემა და შუმისთან მისი ჩამორჩენა კიდევ უფრო მცირე — ორი ქულაღა გახდება. დღევანდელ სიტუაციაში კი არა გვგონია, ლიდერს ასე ერჩივნოს.

თუმც მიხაელი კონკურენტების მიმართ სულაც არაა აგრესიულად განწყობილი, პირიქით, ამ დღეებში ისიც კი აღიარა, რომ სიამოვნებით გაიქროლებდა „მაკლარენით“ ერთ-ორ წრეს. „მაკლარენის“ მხრიდან ძალიან სასიამოვნო იქნება, თუ თავიანთი ბოქსების კარს ღიად დატოვებენ. მაშინ სულ მცირე ხნით გავისეირნებ პროფესიონალების შუქზე. უბრალოდ, ჩემს ბოლიდთან შესადარებლად“ — ვითომ ხუმრობით თქვა შუმიმ.

ირაკლი ნიკოლაძე

ობრაიენი სასწაულის მოლოდინში

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი ათჭიდელი დენ ობრაიენი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებს ტრავმის გამო გამოტოვებს. არადა, ერთი კვირის წინ ლომბარდი იყო და მხოლოდ რვა კვირის სერიოზულად ნავარჯიშევი ყველაზე მხნე პროგნოზს აკეთებდა. ობრაიენმა ატლანტის ოლიმპიადა მოიგო, შვიდი წლის მანძილზე მსოფლიო რეკორდის ავტორიც იყო, სანამ მას ჩეხი ტომაშ დვორჟაკი დაამხობდა. წინა ოლიმპიადის შემდეგ ობრაიენის კარიერამ დაღმასვლა იწყო. მას მარჯვენა მუხლი დაუშავდა და უმძიმესი ტრავმის მოსარჩენად დახარჯული წლების შემდეგ მწვერვალზე დაბრუნება ვერა და ვერ მოახერხა. მხოლოდ ბოლო კვირების მანძილზე დაიწყო ვარჯიში სრული დატვირთვით და აი, ახალი საწუხარიც: მარცხენა ტერფი დაიზიანა, დღეს კი ნაკრებში ადგილის მოსაპოვებლად „ტრაიელსზე“ გამოსვლა უწევს. „გული მისკდება, შოკში ვარ! — ამ სიტყვებით ახასიათებს ობრაიენი თავის სულიერ მდგომარეობას და ამატებს — ბევრი ვეცადე, რომ როგორმე ტკივილი მომერჩინა, რა ხერხს არ მივმართე, ამაო გამოდგა ყველაფერი — ზედიზედ სამ ნაბიჯზე მეტს ვერ ვდგამ. ისე მტკივა, სიმწრისგან ვლიალებ-ხოლმე“...

გაოგნებულია ობრაიენის მწვრთნელი კრის ჰაფინსიც, ახლა რომელი ამერიკელი მოახერხებს, სიდნეიში დვორჟაკს ტოლ-სწორი მეტოქეობა გაუწიოს, 9000-ქულიანი ზღვარის გადალახვაზე რომ არაფერი ვთქვათ — ესაა ამჟამად მსოფლიო ათჭიდის მთავარი სამიზნე. თუმცა, ეტყობა, ობრაიენს სასწაულის იმედი აქვს — „ტრაიელსიდან“ წამოსვლის თაობაზე განაცხადი ჯერაც არ შეუტანია. „თუ სასწაული მოხდა და ღმერთმა ჩემი ლოცვები ისმინა, ანუ ხუთშაბათ დილას ფეხმა არ შემაწუხა, აუცილებლად ვიასპარეზებ“ — თქვა სპორტსმენმა გუშინწინ. ხუთშაბათი დღესაა.

დავით გულუა


დენ ობრაიენი

ტოდ ბლეკედერი

ბლეკედერს ერთი კვირით ქალაქი აჩუქეს

ქალაქებისთვის ცნობილ ადამიანთა სახელების დარქმევის ტრადიცია არახალია, ჯერ კიდევ ჯორჯ ვაშინგტონის დროიდან მოდის. ქართველებიც რომ არ ჩამორჩებოდნენ არავის, ესეც გეხსომებათ. თუმც ახლა დრო შეიცვალა და გეგეჭკორის, მაიაკოვსკის, წულუკიძის, ორჯონიკიძისა და სხვათა ნაცვლად კვლავ გაჩნდა მარტვილი, ბაღდადი, ხონი...

ახალი ზელანდიიდან კი ახალი ამბავი მოვიდა — ქალაქ სენჯიორეს ამ დღეებში ბლეკედერვილი ეწოდა. მიზეზი „ოლ ბლექსის“ კაპიტანი ტოდ ბლეკედერი გახლავთ. იგი იქ დაბადებული და გაზრდილი ბიჭია და სახლიც აქვს ბავშვობის ქალაქში. აქედან დადის მახლობელ კრაისტჩერჩში, რათა იქაური „სენტერბერი კრუზეიდერსის“ აქამდე მოხვეჭილ დიდებას (ზე 12-ის სამგზის ჩემპიონობა იგულისხმება) ახალი დაფნის გვირგინები შემატოს. ბლეკედერი ღმერთია, ქალაქის 12 ათასი მცხოვრები მის სახელს ფიცულობს, ცენტრალური პაბის ერთი კედელი მთლიანად მისი პლაკატებითაა აჭრელებული, დანარჩენ მაღაზიებსა და შენობა-ნაგებობებზე რომ არაფერი ვთქვათ. „ტოდი კაცური კაცის ნიმუშია — ბრძანებს სენჯიორეს თვითმმართველობის უფროსი, ბეევერლი შეფერდ-რაიტი — ძლიერი სულისა და ხასიათის პატრონია. სპორტული გაჭირვების ჟამს მოედანზე მისი ყოფნა ყველაფერს ნიშნავს.“ თავად ბლეკედერი პატივის მიგებას თავშეკავებულად შეხვდა, იგი ამჟამად მხოლოდ სამხრეთ აფრიკასთან მომავალ ბრძოლაზე ფიქრობს.

შენიშვნა: სახალხო პატივისცემის ვადა ერთი კვირით განისაზღვრა. შემდეგ ბლეკადერვილი უწინდელ სახელს დაიბრუნებს.

პენსიონერებო, ჩაჯექით!

ბერლინის სასამართლომ გუშინ თავისუფლება აღუკვეთა მანფრედ ევალდს 22, ხოლო მანფრედ ჰოპნერს 18 თვით. პირველი ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი სპორტული ჩინოვნიკი იყო, მეორე — ექიმი. ევალდი 74 წლისაა, ჰოპნერი — 66-ისა. რაში დასდეს ბრალი ამ ჭარმაგ გერმანელებს? რაში და დოპინგის გამოყენებაში, ოღონდ არა თავიანთთვის, არამედ გერმანელ სპორტსმენთა ორგანიზმების აქტივობის ასამაღლებლად და გდრ-ის სათანადოდ წარმოსაჩენად საერთაშორისო სარბიელზე. ევალდი 1961-88 წლებში გერმანიის სპორტის ფედერაციას თავკაცობდა და მან და ჰოპნერმა ამ პერიოდში 142 ქალს შეუშხაპუნეს დოპინგი, თუმცა დღეს ამდენის დამტკიცება ვერ ხერხდება, მხოლოდ 22 შემთხვევაა დღესავით ნათელი. არსებობს სპორტსმენთა ჩვენებები და მასალაც, რომელიც დოპინგის მოხსარებისგან მათი ჯანმრთელობის გაუარესებას ადასტურებს. ევალდის „მსხვერპლთა“ შორის უპირველესად ბირთვის მკერდ ანდრეას კრიგერს ასახელებენ, რომელმაც 86-ში ევროპირველობა მოიგო და შემდეგ სქესობრივი, ჰორმონალური ცვლილებები დაუფიქსირეს. მოსკოვის ოლიმპიადაზე ორი ოქროს მომგები, გულაღმა მოცურავე რიკა რაინიხი და 100 მეტრზე ბრასში მსოფლიოს რეკორდსმენი კაროლა ნიცშე ასევე „მსხვერპლთა“ სიაში ირიცხებიან.

ევალდსა და ჰოპნერს ორწლიანი პატიმრობები ელოდათ, მაგრამ ასაკისა და ჯანის სიმრთელის ფაქტორებმა ბატონი მოსამართლენი შეცავათებზე დაფიქრა.

დავით გულუა

REUTERS კურშეველიდან

პელოტონი წუთით დადუმდა...



REUTERS მორზინიდან

რიშარ ვირანკი

აეშალათ

ვირანკს მიზნები, პანტანის კუჭი, არმსტრონგს ნერვები

„ტურ დე ფრანსის“ დაწყებამდე რიშარ ვირანკმა სამი მიზანი დაისახა ერთი უკვე აასრულა, ერთმა ჩაილურის წყალი დალია, ერთის მიღწევას კი დრო სჭირდება. გამოცანებით რომ არ ვილაპარაკოთ, გეტყვით — ფრანგს ერთ ეტაპში მაინც უნდოდა გამარჯვება, აგრეთვე მთის მეფის ტიტულის მოგება და საერთო ჩათვლაში ხუთეულში მოხვედრა. ეტაპი მოიგო, მორზინში მიასწრო ყველას. წითელკოპლებიანი თეთრი მაისურა კოლუმბიელ სანტიაგო ბოტეროს „დაუთმო“, საერთო ჩათვლაში მეხუთე ადგილზე კია ჯერჯერობით, მაგრამ კიდევ რამდენიმე ეტაპია დარჩენილი და ვინ იცის, რა მოხდება.

„ტურის“ ხუთგზის მთის მეფემ კარიერაში მეოთხე ეტაპი მოიგო ამ შეჯიბრში. მან უკანასკნელად 1997 წელს იმარჯვა კურშეველში.

ვირანკმა დღის ბოლო სიძნელეზე შეუტია, სადაც ყვითელმისურიან ლენს არმსტრონგს წლეულს პირველად შეეტყო დაღლა. „მოვინდომე, ეს გამარჯვება ძალიან მჭირდებოდა“ — თქვა ფრანგმა, რომელიც უკვე ორი წელია, „ფესტინას“ საქმეშია ჩართული. 1998 წელს დოპინგ-სკანდალის გამო იგი თანაგუნდელებთან ერთად „ტურიდან“ მოხსნეს. ფესტინელთა უმრავლესობამ დოპინგის გამოყენება აღიარა და შესაბამისი დისკვალიფიკაციებიც უკვე მოიხადა, ვირანკი კი ვირივით გაჯიუტდა და მასტიმულირებელ საშუალებებს ახლოსაც არ გაკარებივარო, ამტკიცებდა. თუმცა ზოგიერთმა ხელი დაადო, ეგეც გასვრილიაო და მას შემდეგ ვირანკის საქმეს ლილის პროკურატურა იძიებს. სასამართლო პროცესი შემოდგომისთვისაა დანიშნული.

ეტაპი მეორე ადგილზე გაიმყარა და საერთო ჩათვლაში მეორე პოზიცია დაამყარა გერმანელმა იან ულრიხმა, ტელეკომელმა ბოლო მთაზე მშვენივრად ირბოლა, მერე დაშვებამდე ველოსიპედიც გამოცვალა, რითიც რამდენიმე წამიც მოიგო. იგი არმსტრონგს ცოტათი კი მიეწია, მაგრამ მის საბოლოოდ გადასწრებას, ალბათ მაინც ვერ შეძლებს.

დღის მთავარი უიღბლო უდავოდ ესპანელი რობერტო ერასია, რომელიც ერთხანს ლიდერობდა, მერე წამოწეულ ვირანკს კარგადაც მიჰყვა, მაგრამ დალმართზე, ფინიშამდე კილომეტრნახევრით ადრე, მოსახვევში წაიქცა და ეტაპის მოგების შანსიც დაკარგა. თუმც მან საერთო ჩათვლაში მაინც წინ წაიწია და ახლა მესამე ადგილზე მყოფ ხოსება ბელოკთან მხოლოდ ხუთ წამსღა აგებს.

ეტაპი წუთიერი დუმილით დაიწყო — პელოტონმა პარასკევს ავარიაში მოყოლილი და კვირას გარდაცვლილი 12 წლის ბიჭის ხსოვნას მიაგო პატივი.

თავიდან მრბოლებს გრძელი დაღმართი ჰქონდათ გასავლელი. დაახლოებით მეხუთე კილომეტრზე რამდენიმე სპორტსმენი წაიქცა, მათ შორის მარკო პანტანიც. „მეკობრეს“ თანაგუნდელები დაელოდნენ და პელოტონსაც მალე მიაწიეს, ესპანელ მარკოს სერანოს კი ველოსიპედიდან სასწრაფო დახმარების მანქანაში გადაბარგებამ მოუწია. დღის პირველ სიძნელეზევე შეუტია პანტანიმ და სეზის მთაზე ყველასაც აასწრო, მერე კი არავის და კოლომბიერის მთებიც პელოტონზე ადრე გადაიარა ფერნანდო ესკარტინისა და პასკალ ერვეს კომპანიაში. იგი დაახლოებით 80 კილომეტრი ლიდერობდა და ამას დიდი ენერგიაც შეალია. ამიტომაც ჟუ-პლანის მთას დაღლილი შეუყვა, თან მუცლის გვრემაც დაეწყო და ვირანკთან 13 წუთზე მეტი წააგო. ეს წლევანდელ „ტურზე“ მისი ბოლო ეტაპი გამოდგა, რადგან შიგნეულობის აშლილობის გამო რბოლის გაგრძელებაზე უარი თქვა.

ბოლო აღმართზე თავიდან კივილოვი, რუ და ტრენტინი დაწინაურდნენ. მათ პირველი ერასი გამოუდგა. ვირანკი და ულრიხი კი არმსტრონგის სისუსტის მოწმენი გახდნენ და მერეღა შეუტიეს. ამერიკელმა ძალის ნაკლებობა უჭმელობით და შაქრის მიუღებლობით ახსნა. „დღეს ჩემი ცხოვრების ყველაზე ძნელი დღე მქონდა“ — თქვა მან, თუმცა ჭამა ვინ ან რამ დაუშალა, არ გაუმხელია.

ვირანკი კი ერასს დაეწია, რომელსაც მოწინავე სამეულის გადასწრება უკვე მოესწრო. მერე ფრანგმა ესპანელს აჯობა და ამაში მეტოქის წაქცევაც დაეხმარა. „მაინც მოვუგებდი, რადგან ძალიან კარგ ფორმაში ვიყავი“ — თქვა ვირანკმა რბოლის შემდეგ. გამარჯვება კი მან კვირას დაღუპულ ბიჭუნას უძღვნა.

გაიოზ თალაკვაძე

მეთექვსმეტე ეტაპი

კურშეველი — მორზინი, 196,5კმ

1. **რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, პოლტი) — 5სთ 32წთ 20წმ**
2. **იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — +24წმ**
3. **რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — +27**
4. **ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი, კელმე) — +1წთ 09**
5. **ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ფესტინა) — +1წთ 11**

საერთო ჩათვლა

1. **ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — 72სთ 12წთ 30წმ**
2. **იან ულრიხი — +5წთ 37**
3. **ხოსება ბელოკი — +6წთ 38**
4. **რობერტო ერასი — +6წთ 43**
5. **რიშარ ვირანკი — +7წთ 36**

ლენს არმსტრონგი:

ულრიხი ჯენტლმენია, პანტანი...

„ტურის“ ლიდერს ლენს არმსტრონგს ჯერ ერთი ეტაპიც არ მოუგია. არადა, ვანტუს მთაზე შეეძლო გამარჯვება, მაგრამ პირველობა მარკო პანტანის დაუთმო. ამ ჟესტს იგი ახლა ნანობს და იმედი აქვს, პარიზამდე ერთ ეტაპზე მაინც იმარჯვებს.

— პანტანი ამბობს, ვანტუზე რომ უბრძოლველად დამითმო გამარჯვება, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენიო...

— იგი ძლიერი მრბოლი და საუკეთესო მთიელია. ამის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ ვანტუზე უძლიერესი არ იყო და ძალიან შევცდი, გამარჯვება რომ დავუთმე. მას შემდეგ „ელეფანტინოს“ (სპილოს ნიშნავს იტალიურად) განცხადებებით იმედგაცრუებული დავრჩი. დარწმუნებული ვარ, რომ საუკეთესომ უნდა გაიმარჯვოს. კვირას ასეც იყო, როცა მან მოიგო, ვანტუზე კი...

— რატომ დაუთმეთ მას პირველობა?

— ვფიქრობდი, რომ კარგად ვიქცეოდი, რადგან მარკოს, როგორც მრბოლს, ძალიან დიდ პატივს ვცემ. ბოლო ერთი წელი ძალიან ძნელი პერიოდი ჰქონდა, ფინიშის ხაზის მიახლოებისას განსჯის დროა არ მრჩებოდა, უცებ უნდა გადამეწყვიტა. რაც მომდევნო დღეებში მოხდა, ცუდ ხასიათზე დამაყენა. პანტანის ასე არ უნდა ელაპარაკა. თუმცა კარგით, ადამიანის შეფასებისას ყველა ცდება, მე კი მისდამი პატივისცემას მაინც შევინარჩუნებ.

— იან ულრიხის ფორმას როგორ შეაფასებდით?

— ვერ გეტყვით, რადგან მაღალ დონეზე მასთან ერთად მხოლოდ 1996 წელს მირბოლია. ამიტომ არ ვიცი, თავისი საუკეთესო ფორმიდან შორსაა თუ არა. ყოველ შემთხვევაში, საერთო ჩათვლაში ამდენით რომ ვუსწრებ, ეს ჩემთვის ნამდვილად მოულოდნელობაა. ულრიხი ძალიან ნიჭიერია და ზამთრის განმავლობაში უფრო სერიოზულად რომ ემზადებოდეს, ბევრსაც მიაღწევს. ეს კრიტიკად არ ჩათვალოთ, უბრალო შენიშვნაა. პანტანისგან განსხვავებით ულრიხი ნამდვილი ჯენტლმენია. მას გამარჯვების შანსი ჯერაც აქვს, რადგან კიდევ რამდენიმე ეტაპია დარჩენილი.

— „ტურის“ დირექტორმა ჟან-მარი ლებლანმა თქვა, ფრანგულად ლაპარაკი რომ ეხერხებოდეს, უფრო პოპულარული იქნებოდაო...

— ვიცი, ეს განცხადება მეც წავიკითხე, თუმცა უნდა დავაზუსტო, რომ „ტური“ პოპულარულობის კონკურსი სულაც არაა. მე მიყვარს საფრანგეთი, ფრანგები, აქ ვცხოვრობ კიდეც და ფრანგულის სწავლასაც ვცდილობ, მაგრამ ჯერჯერობით გამართულად ვერ ვლაპარაკობ. გაისად იქნებ ფრანგულადაც დავარიგო ინტერვიუები.

— ერთი ეტაპიც რომ ვერ მოიგოთ, იმედგაცრუებული დარჩებით?

— გულახდილად გეტყვით, დიახ. განსაკუთრებით იმ ეტაპის შემდეგ, თავიდან რომ ვისაუბრეთ. არ ვიცი, რომელ ეტაპზე შემიძლია გამარჯვება, მაგრამ მიზნად ინდივიდუალურ რბოლას ვისახავ.

თარგმნა ბაბი გურულმა

ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია



შაბლეს კანტონში, „მზის კარიბჭედ“ მონათლულ სათხილამურო ცენტრში მდებარე მორზინში 3 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ამ პატარა ქალაქს კარგად აქვს შენარჩუნებული საკუას მხარის მომხიბვლელობა და ტრადიციები. იგი, უკვე საუკუნის დასაწყისიდანაა განთქმული ტურისტული ცენტრით, 1934 წლის შემდეგ კი მორზინში სპორტის ზამთრის სახეობებით გართობაც შესაძლებელი გახდა. 60-იან წლებში, ფრანგმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჟან ვუარნემ, რომელიც წარმოშობით ამ მხარიდანაა, ახალი ტურისტული ცენტრი ავორიაზი დაარსა მორზინთან, ზღვის დონიდან 1800 მეტრ სიმაღლეზე, რამაც ქალაქს, რომ იტყვიან, ახალი სული შთაბერა. „ტური“ მორზინს წლეულს ოცდამეერთედ ეწვია.

ერთი დღის ისტორია

19 ივლისი

1947 წლის 18 ივლისს რენე ვიეტომ რვაწლიანი ოცნება დაასამარა. დღეს რომ ამბავი უნდა მოგიყვეთ კი 19 ივლისს მოხდა. წინა დღეს 139 კილომეტრიანი (!) ინდივიდუალური რბოლა მოეწყო ვანსა და სენ ბრიეს შორის. ვიეტო, ვისაც საუკეთესო წლები მეორე მსოფლიო ომის გამო გაუცდა, გამარჯვების შანსს ინარჩუნებდა, მაგრამ ამ ეტაპზე იმდენი წუთი წააგო, აშკარა გახდა, „ტურს“ ვეღარ მოიგებდა. ამან ძალიან იმოქმედა სპორტსმენზე და დეპრესიაშიც ჩავარდა. 19-ში იგი სასტუმროში იყო. მრბოლები სტარტზე რომ დადგნენ, ვიეტოს თავისი ნომრიდან არც კი გამოსულა. მან თურმე ტურნირის მიტოვება გადაწყვიტა. იმ დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჟურნალისტი ჟორჟ ბრიკე ამის შესახებ ვიღაცამ გააფრთხილა და ისიც უმალ სასტუმროსკენ გაემართა, რათა ვიეტოსთვის აზრი შეეცვლევინებინა.

— რაც მე გავიგე, თუ მართალია, მაშინ დიდ სისულელეს ჩადიხარ — დაიწყო მან.

— სულაც არა, ბატონო ბრიკე.

— არ გაქვს ამის უფლება — უთხრა ჟურნალისტმა მრბოლს.

— მაქვს — იყო მოკლე პასუხი.

— ესე იგი, „ტური“ უნდა მიატოვო?

„მიტოვება“ ერთადერთი სიტყვა იყო, რომელსაც ვიეტოზე ზემოქმედება შეეძლო. ეს ბრიკემ კარგად იცოდა. მრბოლი უმალ გამოვიდა დეპრესიული მდგომარეობიდან: „ვიეტო არასოდეს მიატოვებს „ტურს“. და იგი სტარტისკენ გაემართა.

ტურის ჯილდოები

ყველაზე პერსპექტიული მრბოლი

სახელმოხვეჭილ სპორტსმენთა გარდა ქომაგი განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება იმათ, ვინც ზვალ დღევანდელი ჩემპიონები უნდა შეცვალონ. სპორტის მოყვარულთა ამგვარი დამოკიდებულება თითქმის ყველა დიდი შეჯიბრების ორგანიზატორთა ქმედებაშიც აისახა. პერსპექტიული სპორტსმენის პრიზი მრავალი ტურნირის გაუყრელ თანამგზავრად იქცა.

გამონაკლისი არც „ტურ დე ფრანსია“. ამ საკმაოდ რთული მრავალდღიანი ველორბოლის სპეციფიკის გათვალისწინებით, ახალგაზრდული ასაკი ტურზე 25 წლამდე განისაზღვრება. ამ შეჯიბრების თითქმის ასწლიანი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სერიოზული შედეგების მიღწევა მხოლოდ ამ ასაკის შემდეგ არის შესაძლებელი. ცხადია, გამონაკლისები არის, მაგრამ იმდენად მცირე, რომ შეიძლება სათვალავში არც კი ჩავაგდოთ.

დღეისთვის ამ ჯილდოს მოპოვების ყველაზე რეალური პრეტენდენტი, ესპანური „ბანესტოს“ 23 წლის მრბოლი ფრანჩესკო მანჩებოა. ის 18 წუთით უსწრებს გვიდო ტრენტინს, 33-ით გრიშა ნიერმანს და თითქმის საათით დავიდ კანადას. სხვაობა კონკურენტებთან საკმაოდ შთამბეჭდავია, მაგრამ უფრო საოცარი ამ სპორტსმენის მონაცემებია, რომელთა მიხედვით ახალგაზრდა ესპანელს პირინეებში თუ არა, ალპების მთებში მაინც უნდა დაელია სული. საქმე ის არის, რომ მთიანი ეტაპების შემდეგ ის კვლავ საუკეთესო ათეულშია — ველოსიპედისტის წონა სასურველია 70 კგ-ის ფარგლებში მერყეობდეს. „ბანესტოს“ ყველაზე ახალგაზრდა წევრი 84 კი კილოგრამს იწონის.

მანჩებო 1998 წლიდან „ბენესტოშია“. მონაწილეობდა 1999 წლის „ტურ დე ფრანსში“ (28-ე ადგილი), წლევანდელ „ჯირო დიტალიაში“ (მე-20 ადგილი) და სხვადასხვა მცირე ტურნირებში.

რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელია, როგორ გაგრძელდება ამ ჯერ კიდევ დაუღვინებელი სპორტსმენის კარიერა, მაგრამ ერთი ცხადია — ველოსპორტის მოყვარულთა და სპეციალისტთა მხედველობის არეში ერთობ საინტერესო ახალგაზრდა მრბოლი მოექცა.

წლევანდელი „ტურის“ ორი ესპანური აღმოჩენა: ფრანსისკო მანსებო და ხავიერ ოჩოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრია

III ტური
შტურმი 1:1 აუსტრია
ზალცგურგი 2:0 ბრეგენცი
ტიროლი 1:1 გრაცერი
რიდი 3:2 ადმირა

შვეიცარია

II ტური
ლოზანა 4:2 ივერდონი
სენტ გალენი 2:1 ლუცერნი
არაუ 0:2 ლუგანო
ძსამაძსი 2:0 ბაზელი
სიონი 1:0 გრასჰოპერი

ნორვეგია

თასის 1/8 ფინალი
ვოლერენგა 6:0 ვიდარი
ეიკი 1:5 ბოდიო გლიმტი
სტრინდჰაიმი 0:5 ოდ გრენლანდი
ტრაფი 0:5 ვიკინგი
სტარტი — ტრომსიო
გადაიდო

მიმგაქველები

ჩოგბურთელებზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო და, გოლფის ვეტერანმა ვარსკვლავებმა სენტ ენდრიუსზე მოიყარეს თავი, იქაური ტურნირის 129-ე გახსნის ცერემონიალზე. სენტ ენდრიუსზე ფოტოზე აღბეჭდილ ყველა მეგოლფეს უხეირია, ახლა კი წარსულს ერთად იგონებენ.

ეშმას კლანჭებში

ლენს არმსტრონგი გამალებით მიქრის, ჩვენი აზრით, არა იმიტომ, რომ „ტურ დე ფრანსის“ მე-16 ეტაპის ფინიშთან დროზე მისვლა სურს. სიჩქარის მიზეზი უფრო ეშმაკი უნდა იყოს, ველოსიპედის ფანად რომ გაუსაღებია თავი და ფეხდაფეხ მისდევს. ეშმას გეგმა ნათელია: სპორტსმენის მხარზე შეჯდომა, მაგრამ ვფიქრობთ, არმსტრონგი გაასწრებს.

„სანი“ გაფრთხილებთ: დალევა...

წვეთიც და სამარეში ხარო — გააფრთხილეს ექიმებმა 54 წლის ჯორჯ ბესტი და ესაც, აგერ უკვე ოთხი თვეა, ალკოჰოლს კილომეტრზე უვლის.
ახლა ჩრდილოირლანდიელი ლეგენდა ესპანურ კოსტა დელ სოლშია და მზეს ეფიცხება, ხოლო სულმა რომ არ წასძლიოს, ამაზე გაზეთმა „სანმა“ იზრუნა და ქალაქის დუქან-პაბებში პლაკატები დაარიგა:
„ბარმენთა საყურადღებოდ. გთხოვთ, ამ კაცს ალკოჰოლური არაფერი მიართვათ. მისი ჯანმრთელობა საფრთხეშია“.



ზვიგენის კბილი

სამხრეთაფრიკელი მოსერფინგე შენონ ეინსლი ინდოეთის ოკეანის ტალღებს ეპაექრებოდა, როცა ოცმეტრიანმა თეთრმა ზვიგენმა შეუტია. მტაცებელმა ადამიანის მხოლოდ მარჯვენა ხელის ჩაკბეჩვა მოასწრო, თუმც ისე საფუძვლიანად, რომ ძვლამდე უწია. ეინსლიმ ნაბირზე გამოღწევა მოახერხა და მასმედიას გმირის რანგში ესაუბრება.

სიყვარული წყალში

ყველაფერი კანონიერად ხდება: ხელისმომკიდეები, ბეჭდების გაცვლა და ძვირფასი ამბორი, მხოლოდ ის არ ჩანს, ხელის მოწერა სად ხდება, მაგრამ ამას ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს; საქორწინო აქტის უცნაურობა ისაა, რომ ხმელთაშუა ზღვაში, ლიბანის სანაპიროსთან 20 მეტრის სიღრმეზე ხდება. გაბედნიერებულთა ხელობა შესაფერისია, ლიბანელი ჯონი ტანიუსი და მისი კანადელი მეორე ნახევარი, მარი-ივ რაბათი მყვინთავები არიან.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge